ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შანაი ბრუკის მკვლელობისთვის რაფაელ მურსაკულოვი დააკავეს

გვ.5

ხუთშაბათი, 9 სექტემბერი, 2021 №168 (8697) ფასი: 60 თეთრი

„გახარია ნარკომანი თუ იყო, პრემიერად რატომ ჰყავდათ?“

გვ.3

„ნარკოტიკული თრობის ქვეშ არის ადამიანი თუ ღვინის, ვიდეოფირით როგორ უნდა მიხვდე?!“

„ქართული ოცნება“ არჩევნებზე პანდემიას გამოიყენებს“

ვახტანგ კალოიანი: „გამყრელიძის პასუხმა დაადასტურა, რომ საკოორდინაციო საბჭო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს“

გვ.2

„ოცნება“ საკუთარ ამომრჩეველს აჭმევს, რომ სააკაშვილს დავიჭერთო

გვ.4

ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილი ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგას რას მისჩერებიან, ბიძინა ივანიშვილი რას დაჰპირდა ამ ხალხს, ის მოსთხოვონ ივანიშვილს“

გვ.3

„ვადამდელი არჩევნები ყველა ვარიანტში იქნება“

ანზორ ბიწაძე: „ოპოზიციური ერთობა დაანგრიეს ამ დოკუმენტზე პარტიზანულად და ფაქტიურად ჩუმად ხელმოწერით. ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა ტელევიზიიდან გავიგეთ, ხელს რომ აწერდნენ. სად არიან ახლა ეს პოლიტიკოსები?!“

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილის ჩამოსვლისა და მისი აქ დახვედრის საკითხებს რუსეთის სპეცსამსახურები წყვეტენ“

მამუკა გიორგაძე: „საარჩევნო სიებში ისევ ქაოსია. ვერაფრით მივაღწიე, რომ სამი უცხო ადამიანი არ იყოს საარჩევნოდ მიწერილი ჩემს ბინაზე“

სიმთვრალეში მანქანის ტარება 1.500 ლარი დაგიჯდებათ

გვ.5

ISSN 1987-9385

5 „ცოლის მკვლელობაში ბრალდებული ქმარი შეიძლება ციხიდან გამოუშვან“

2 2%-იან ბარიერთან დაკავშირებით ჩანაწერი შეიძლება შეიცვალოს

5 საია: „გენპროკურორის დანიშვნის ახალ წესზე უარი რეფორმის გაშვებული შესაძლებლობაა“

6 თალიბანმა ქალებს სპორტი აუკრძალა

„ქართული ოცნება“ არჩევნებზე პანდემიას გამოიყენებს“

ვახტანგ კალოიანი: „გამყრელიძის პასუხმა დაადასტურა, რომ საკოორდინაციო საბჭო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს“

იაგო ნაცვლიშვილი

კოვიდვითარების ოდნავ დასტაბილურების შემდეგ გვაქვს თუ არა დამშვიდების საფუძველი? ხომ არ ხდება პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით რიცხვების მანიპულირება? როგორ გაიგო ამირან გამყრელიძის განცხადება, რომ საკოორდინაციო საბჭოზე გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღება და გადაწყვეტილებას მხოლოდ ოთხი ექიმი ვერ მიიღებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ წევრი, ექიმი ვახტანგ კალოიანი საუბრობს.

– თითქოს ცოტა დასტაბილურდა კორონავირუსთან დაკავშირებული სიტუაცია და გვაქვს თუ არა ოდნავ დამშვიდების საფუძველი?

– ინფექციის შემცირების ტენდენცია ცალსახად არის. დადებითობის მაჩვენებელიც ნელი ტემპით, მაგრამ იკლებს. რა თქმა უნდა, ეს საიმედო ნიშანია. ჯერ მაინც რჩება ბევრი მძიმე პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებებში და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პერიოდი გამოვიყენოთ აქტიური ვაქცინაციებისთვის, რათა მომავალი ტალღისას, რომელიც, სავარაუდოდ, იქნება შემოდგომის ბოლოს, უკეთესად მომზადებულები და აცრილები შევხვდეთ, რათა დარტყმა არ იყოს ისეთი ძლიერი, რომელიც აგვისტოში იყო და რომელმაც ამდენი მოქალაქე წაგვართვა.

– რამ გამოიწვია შემცირების ტენდენცია? იმან, რომ გარკვეული შეზღუდვები გაამკაცრა მთავრობამ თუ კანონზომიერებაა და აღმავლობას დაღმავლობა მოსდევს?

– პირველი, ეს არის კანონზომიერება, ეს არის ციკლი, რომელიც ახასიათებს ამ ვირუსს და, რა თქმა უნდა, ამ შეზღუდვებსაც ჰქონდა გარკვეული როლი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენ მაისსა და ივნისში სრულიად მოვშალეთ რეგულაციების მინიმალური სტანდარტების დაცვაც კი. ეს მოშალა ღარიბაშვილის მთავრობამ და ჩვენ რომ მოგვხერხებოდა ამის დაცვა, მაშინ, რა თქმა უნდა, უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით.

– დღეს ისევ არის საუბარი, რომ შემსუბუქდება რეგულაციები, მათ შორის იგეგმება სკოლებში სწავლის დაწყება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის შემცველია, ასევე აღდგება ტრანსპორტი და სწორი იყო მუნიციპალური ტრანსპორტის დაკეტვა, როცა საქალაქთაშორისო გახსნილი დატოვეს?

– რა თქმა უნდა, ტრანსპორტის დაკეტვა არ იყო კარგი გამოსავალი, ეს იძულებითი გამოსავალი იყო, მაგრამ შესაძლებელი იყო ვითარების მაგ მხრივ დასტაბილურება თუ მოხდებოდა ტრანსპორტის კონტროლი ნიღბის გამოყენების და მგზავრთა რაოდენობის თვალსაზრისით.

სკოლებს რაც შეეხება, თუ ვაქცინირებული იქნება პედაგოგების დიდი ნაწილი, სკოლების გახსნაც შეიძლება. ოღონდ ამას თან უნდა ახლდეს ნიღბის ტარების რეგულაციის შესრულება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– მოსწავლეებს გაკვეთილებზე აუცილებლად უნდა ეკეთოთ ნიღბები?

– რა თქმა უნდა.

– ვითარებას ცოტა პოლიტიკურ კონტექსტშიც რომ შევხედოთ – ხომ არ ხდება რიცხვებით მანიპულირება პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით?

– რიცხვებით მანიპულაცია ალბათ არა, უბრალოდ, გუშინწინ იყო საიტის შეფერხება, რაც არაპროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციის პრობლემაზე მიუთითებს. მანიპულაცია ხდება რეგულაციების მართვის თვალსაზრისით. იქ, სადაც მოქალაქეების გულის მოგება უნდათ, მთავრობა ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ აყენებს მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ მხრივ ნამდვილად ხდება პროცესის პოლიტიზება. ეს არაერთმა ადამიანმა დაადასტურა საკოორდინაციო საბჭოდან. საიდანაც ნათლად ითქვა, რომ მიღებული იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა გადაწყვეტილება ეპიდემიოლოგიური ვითარების მიხედვით.

– ამირან გამყრელიძის განცხადებას გულისხმობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. ზუსტად მაგ განცხადებას ვგულისხმობ.

– თუმცა, შემდეგ მან უარყო განცხადება და თქვა, რომ არასწორი ფორმულირებით გავრცელდა.

– ფაქტი სახეზეა და ჩვენ ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობთ. დიდი ხნის წინ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას. სამწუხაროდ, მან ეს ყურად არ იღო. ასე რომ, ბატონი გამყრელიძის პასუხმა ეს დაადასტურა და არაფერი მეტი.

– ანუ, რა გამოდის რეალურად, საბჭოზეც ხელების გადაგრეხვის პრინციპი მოქმედებს?

– ალბათ, ფაქტია, რომ გადაწყვეტილებებს ხელისუფლება იღებს არა ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით.

– ამ მხრივ არჩევნებზე რას ელოდებით?

– არჩევნებზეც,რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ ეცდება გამოიყენოს პანდემია, ისევე, როგორც წინა არჩევნებზე გააკეთა. შეეცდება, რომ დააშინოს მოქალაქეები და ინფექციის გადაცემის რისკით შეძლოს მათი აქტივობის შემცირება არჩევნებზე.

– რეალურად ხელისუფლებას არ აწყობს ამომრჩევლის მისვლა საარჩევნო უბნებთან?

– რა თქმა უნდა, არ აწყობს. მან იცის თავისი რეალური მდგომარეობა, მან იცის თავისი მხარდამჭერების შესახებ. შესაბამისად, მას არ აწყობს ამომრჩევლის მაღალი აქტივობა.

– თუმცა, ხომ შეიძლება ამ შიშის გამო თავისი მხარდამჭერებიც არ მივიდნენ?

– სამთავრობო რესურსი უფრო რეგულირებულია პოლიტიკურად, სპეციალური სამსახურების მეშვეობით, პოლიციის საშუალებით და ა. შ. ამიტომ, მათ მაგის მეტი რესურსი აქვთ. თავისუფალი მოქალაქეები შეიძლება შეშინდნენ, ეს არის მიზანი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მოქალაქეები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მოვლენ არჩევნებზე და ამ ხელისუფლებას შეცვლიან.

– საარჩევნო კამპანიაში რა პრობლემები შეგიქმნათ პანდემიამ?

– პრობლემები ცალსახაა, თავს ვიკავებთ დიდი შეკრებებისგან. „ქართულ ოცნებას“ აქაც არ აინტერესებს მოქალაქის ბედი და ათეულობით ადამიანს ერთად კრებს, რაც უბრალოდ უპასუხისმგებლო საქციელია, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მათთვის არჩევნები და პოლიტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე.

– გაქვთ მოლოდინი, რომ არჩევნების მერე ჩაკეტავენ ქვეყანას?

– ამის საშუალებას არ მივცემთ ხელისუფლებას, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღოს.

– როგორ აღკვეთთ?

– გვაქვს მაგის ბევრი რესურსი და ბევრი გზა, რომლითაც მოვახერხებთ მაგის თავიდან აცილებას.

– წინასწარ ემზადებით?

– ჩვენ ვემზადებით არჩევნებში გამარჯვებისთვის და ვემზადებით ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური რეფორმების და აქტიური ცვლილებების გასატარებლად, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს სიკეთეებს დაუბრუნებს.

– გველოდება შემოდგომის ბოლოს ახალი ტალღა? როგორია თქვენი მოლოდინი?

– სავარაუდოდ, კი. შემოდგომის ბოლოს იქნება. უბრალოდ, იმედია, რომ მეტი აცრილი მოქალაქე იქნება და დავხვდებით ნაკლები დანაკარგით და ეს ტალღა ბევრად მსუბუქი იქნება, ვიდრე წინა.

2%-იან ბარიერთან დაკავშირებით ჩანაწერი შეიძლება შეიცვალოს

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი შალვა პაპუაშვილი არ გამორიცხავს, რომ 2%-იან ბარიერთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში არსებული ჩანაწერი შეიცვალოს და ამბობს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს.

როგორც პაპუაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, ამ შემთხვევაში 2 და 3%-იან ბარიერს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის.

– ჩვენი დამოკიდებულება ამ ცვლილების მიმართ არის ჩვენი პოლიტიკური ნება, რომ ეს ცვლილებები განხორციელდეს. ჩვენი პოლიტიკური ნება გამოვხატეთ პირველი მოსმენის შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პრინციპებს. ჩვენ პრინციპულად შევთანხმდით, რომ 5%-იანი ბარიერი, რომელიც 2024 წლისთვის წესია, შესაძლოა იყოს მაღალი, მათ შორის იმ გამოცდილებით, რაც ამ არჩევნებზე გვქონდა.

ვაცნობიერებთ, რომ შესაძლოა პარტიებმა ვერ შეძლონ 2024 წლამდე ისე მოძლიერება, რომ რამდენიმე პარტიამ გადალახოს 5%-იანი ბარიერი. ამიტომ, როგორც დროებითი ზომა, დაბალი საარჩევნო ბარიერი, ვფიქრობთ, რომ შესაძლოა კარგი იყო. რამდენი უნდა იყოს დაბალი ბარიერი, ამაზე სხვადასხვა მსჯელობაა.

პრაქტიკას თუ გადავხედავთ ევროპაში, როგორც წესი, არის 3% ან 5%. 3%-იანის შემთხვევაში იქნებოდა 6 პარტია, დავფიქრდეთ, არის თუ არა ეს საკმარისი. 2%-იანის შემთხვევაში იქნებოდა 7 და მხოლოდ 1 პარტია დაემატებოდა, 2 და 3%-ს შორის განსხვავება შეიძლება ამ კუთხით მნიშვნელოვანი არ იყოს. 3% ზრდის პარტიების სპექტრს. ამ საკითხებზე მსჯელობაა საჭირო.

თუ 2%-ზე ვსაუბრობთ შეიძლება ის იყოს არგუმენტი, რომ კონკრეტულ პარტიებზე იყოს მორგებული. მაგალითად „გირჩი“ ამბობს, რომ თუ 2.9% ავიღე, რატომ დავუჭირო მხარი 3%-იან ბარიერს, თავისზე მორგებულად ფიქრობენ და არა იმაზე, ზოგადად რა ჯობია, რომ იყოს.

პრინციპული სხვაობა 2-3%-ს შორის არაა. ჩვენ შევთანხმდით პრინციპზე, რომ იყოს დაბალი ბარიერი, – განაცხადა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილმა ასევე ისაუბრა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესსა და კითხვაზე, ხომ არაა მოსალოდნელი, რომ დაბრუნდეს ძველი წესი, რაც თავმჯდომარის უბრალო უმრავლესობით არჩევას გულისხმობს, პაპუაშვილი ამბობს, რომ ეს საკითხი სამსჯელოა.

– ფაქტმა გვაჩვენა, რომ მონდომებაც კი არ იყო ჩვენი ოპონენტების მხრიდან და მათ პირდაპირ დამღა დაასვეს კანდიდატებს. თქვეს, რომ ისინი საჯარო მოხელეები არიან და ამიტომ არიან მიუღებლები. არც შემოვიდნენ დისკუსიაში, რომ რას უწუნებენ კვალიფიკაციის კუთხით. პირიქით, ამბობდნენ, რომ არაფერს უწუნებენ, კარგი ადამიანები არიან. ყველას უცხადებენ უნდობლობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სახელმწიფო სამსახურში არიან.

ამან გვაჩვენა, რომ არ არის გამართული სისტემა. პარადოქსი ისაა, რომ უკვე ერთ თვეში უნდა დავიწყოთ ცესკოს ახალი თავმჯდომარის შერჩევის პროცედურა, რადგან ხანგრძლივი პროცედურაა, თუ ვერ შევთანხმდით. ამიტომ, რაღაც მომენტში, მგონი, ყველა დავინახავთ, რომ აბსურდია, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

6 თვეში საქართველოში ფაიზერით 648.858 მოქალაქეა აცრილი, სინოფარმით — 427.114, სინოვაკით — 137.048, ასტრაზენეკათი — 118.461

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 15 მარტიდან 5 სექტემბერის პერიოდში, საქართველოში „ფაიზერის“ ვაქცინით 648 858 მოქალაქეა აცრილი, საიდანაც 1 დოზით ვაქცინირებულია 444 505 მოქალაქე, ხოლო ორი დოზით 204 353 პირი.

რაც შეეხება დანარჩენი ვაქცინების განაწილებას, ჩინური ვაქცინა „სინოფარმით“ აცრილია 427 114 პირი, საიდანაც ერთი დოზით ვაქცინირებულია 260 254 მოქალაქე, ხოლო ორი დოზით 166 860 პირი.

ასევე ჩინური ვაქცინა „სინოვაკით“ აიცრა 137 048 პირი, საიდანაც 1 დოზით ვაქცინირებულია 79 228 მოქალაქე, ორი დოზით კი 57 820 პირი.

„ასტრაზენეკათი“ ვაქცინირებულია 118 461 მოქალაქე, საიდანაც ერთი დოზით 61 328 პირი აიცრა, ორი დოზით კი 57 133 მოქალაქე.

კალაძე: „დიდ დიღომში ახალი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა“

დიდ დიღომში, მეორე და მესამე მიკრორაიონებს შორის, რეკრეაციული სივრცე მოეწყობა, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს ტერიტორია კერძო საკუთრება იყო და ორი წელი დასჭირდა მუნიციპალიტეტს, რომ ის დაებრუნებინა.

– დიდი დიღმის მოსახლეობა ითხოვდა პარკის გაშენებას, თუმცა, ამის შესაძლებლობა არ იყო ადგილის გამო, რადგან, ძირითადად გასხვისებული იყო ტერიტორიები. ამჯერად საქმე ეხება დიდი დიღმის მეორე და მესამე მიკრორაიონებს შორის, ე.წ. წრესთან მდებარე ტერიტორიას, სადაც რეკრეაციული სივრცის მოწყობას ითხოვდნენ. ეს ტერიტორია იყო კერძო საკუთრება და ჩვენ უკვე ორი წელია, ვმუშაობთ გამგეობასა და საკრებულოსთან ერთად, რომ ეს ტერიტორია დაბრუნებოდა მუნიციპალიტეტს.

დღეს შემიძლია გითხრათ, რომ ადგილმონაცვლეობა განხორციელდა და ეს არის მუნიციპალიტეტის საკუთრება. მინდა დავავალო საბურთალოს რაიონის გამგეობას, რომ ჩვენი დაპირებისამებრ, აქ მოეწყოს რეკრეაციული ზონა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, – განაცხადა კახა კალაძემ.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა



გუშინ, 8 სექტემბერს, საქართველოში მიწისძვრა მოხდა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინფორმაციით, დღეს, თბილისის დროით 13:32 საათზე, სოფელ საკერპოსთან 3.2 (ML) მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა დაფიქსირდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია ნარკომანი თუ იყო, პრემიერად რატომ ჰყავდათ?“

„ნარკოტიკული თრობის ქვეშ არის ადამიანი თუ ღვინის, ვიდეოფირით როგორ უნდა მიხვდე?!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების ჩაგდებას, მთავარი პროკურორის მაღალი კვორუმით დანიშვნასთან დაკავშირებით, ელოდით?

– საუბარია მთავარი პროკურორის მომავალში დანიშვნაზე. ამ დროს ოპოზიციაში შეიძლება „ქართული ოცნება“ იყოს. საერთოდ, მთავარი პროკურორი არავის წინაშე არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული. ხელებშეკრული მთავარი პროკურორი, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, საქმეს ვერ გააკეთებს. ირაკლი შოთაძე, როდესაც მთავარ პროკურორად მეორედ ინიშნებოდა, პარლამენტში მოსმენაზე ვკითხე: დანამდვილებით თუ იცით, რომ ივანიშვილმა დანაშაული ჩაიდინა, წაუყენებთ თუ არა ბრალს? ამ კითხვაზე პასუხი ვერ გამცა. არადა, პასუხი თითქოს ძალიან მარტივია. ფორმალურადაც კი ვერ გაბედა ამის თქმა. არ უნდა დაინიშნოს მთავარი პროკურორი, რომელიც მე დამიჭერს, მაგრამ დასაჭერს ვერ დაიჭერს, თუ მის წინაშე პოლიტიკურად ანგარიშვალდებულია. გამოდის, ეს იქნება ქვეყანა, სადაც ნემსის ქურდები იქნებიან ციხეში და მათ აქლემის ქურდები დაიჭერენ. ამიტომ, ისეთი რეალობა უნდა შევქმნათ, როდესაც მთავარი პროკურორი არავის წინაშე არ იქნება ვალდებული.

– მიუხედავად 20 ივნისის აქტივისტების, ოპოზიციის წინააღმდეგობისა, ამნისტიის შესახებ კანონპროექტი გავიდა. რატომ გაიტანეს, დავიჯეროთ მართლა ნიკა მელიაზე ზრუნავენ?

– ყველაზე დიდი დამნაშავე ის არის, ვინც 20 ივნისს გაისროლა. ამ შემთხვევაში ეს ხელისუფლების ავანტიურას უფრო ჰგავს. „ოცნება“ ამნისტიის თემით სპეკულირებს.

– სპეკულირებს თუ ხელს აფარებს გახარიას ან მას, ვინც ბრძანება გასცა?

– არა, გახარია მათთვის უფრო დიდი მტერია, ვიდრე სხვა ნებისმიერი პოლიტიკური ძალა საქართველოში, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“. „ქართულ ოცნებაში“ ახლა რა განწყობაც არის გახარიას მიმართ, ზუსტად შემიძლია წარმოვიდგინო. რაღა შორს წავიდე, ასეთი განწყობა ჰქონდათ ჩემ მიმართაც, როდესაც წამოვედი.

– ვინც ჩვენთან არ არის, ყველა ჩვენი მტერია.

– უფრო მეტიც. საუბარია, ვინც ჩვენთან არის, ის ჩვენგან არ უნდა წავიდეს. ასეთი ცნობიერება კრიმინალურ-მაფიოზურ დაჯგუფებებს აქვთ. მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში თუ გაქვს მონაწილეობა მიღებული, წასვლის უფლება არ გაქვს. ამიტომ ეძახიან გახარიას მოღალატეს. „ნაციონალური მოძრაობა“ კი კომფორტული ოპოზიციაა. გახარია ყველანაირად ემსახურა „ქართულ ოცნებას“, როდესაც უთხრეს გაისროლეო – გაისროლა, სამეგრელოში არჩევნების წინ ტერორი მოაწყეო – მოაწყო და ია კერძაია შეეწირა ამ ამბავს. ბოლოს დაინახა, რომ გადაგდებას უპირებდნენ კალაძე და კობახიძე, რომლებიც ყველაფრის მკადრებლები არიან და დაასწრო მათ.

– ინფორმაცია ვრცელდება, რომ კალაძის ეჭვები ნარკომოხმარებაზე შესაძლოა გახარიაზე იყოს. გიორგი მშვენიერაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ უკრაინულ „ვიკილიქსზე“ შეიძლება გავრცელდეს ეს კადრები არჩევნების წინ.

– ნარკოტიკული თრობის ქვეშ არის ადამიანი თუ ღვინის თრობის ქვეშ, ვიდეოფირით როგორ უნდა მიხვდე?! აშკარაა, რომ გახარია მათთვის ძალიან არაკომფორტული მოწინააღმდეგეა. მიუხედავად იმისა, რომ მე გიორგი გახარია, როგორც პოლიტიკოსი, არ მესიმპათიურება და ვერანაირ რევერანსებს მისი მისამართით ვერ გავიმეტებ, სიმართლე უნდა ითქვას. ობიექტური უნდა ვიყო.

– ასე რატომ უპირისპირდებიან?

– ძალიან მარტივია. ხალხს არჩევანის შესაძლებლობა მისცა. ივანიშვილი წასულია. გახარია თუ კალაძე-კობახიძე?! – ვინ უკეთესია, თქვენ გადაწყვიტეთ, ეუბნება ხალხს. გარკვეულწილად „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს შორის ალტერნატივა გააჩინა.

– „ოცნებამ“ შეიძლება რამე კომპრომატები მართლაც გამოაქვეყნოს?

– „ოცნება“ ნებისმიერ სიბინძურეზე წავა. არაერთი პირადი კადრი გავრცელდა ამ ხელისუფლების პირობებში და ეს იყო სრულიად ამაზრზენი. ეს აჩვენებს ამ ხელისუფლების მორალურ სახეს. ესენი ყველაფრის მკადრებლები არიან. თუმცა, ამ ეტაპზე „ქართული ოცნებისგან“ ეს არ იმუშავებს. იმდენი აქეს გახარია, რომ ახლა რაც არ უნდა დააბრალონ, ვერ იმუშავებს. თუ ნარკომანი იყო, თუ მოღალატე იყო, თუ კორუმპირებული იყო, პრემიერად რატომ ჰყავდათ?! თუ ნარკომანს სიის პირველ ნომრად ვწერ და მე მეორე ნომრად ვეწერები, ხომ სრული არარაობა გამოვდივარ?! თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, როგორ ჰყავდათ ასეთი არარაობა პრემიერად, ამას რა პასუხს გასცემენ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აშშ-ის კონგრესმენთა დელეგაციას შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს საპატრიარქოში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაციას უმასპინძლა.

საპატრიარქოს ინფორმაციით, კონგრესმენთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კონგრესმენები: ალექს ქსავიერ მუნი (დასავლეთ ვირჯინია), ბრაიან ჯორჯ სტილი (ვისკონსინი), კელი მაიკლ არმსტრონგი (ჩრდ. დაკოტა), კეროლ დევინ მილერი (დასავლეთ ვირჯინია) და რონალდ ჯინ ესტესი (კანზასი), ასევე, აშშ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველოს საპატიო კონსული სან-დიეგოში მელორ წიფურია.

საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

„კონგრესმენებმა მადლობა გადაუხადეს უწმინდესსა და უნეტარესს გულთბილი მიღებისათვის.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აშშ-საქართველოს, როგორც მეგობარი ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხს. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ შეხვედრაზე წამოჭრილი თითოეული პრობლემა და წუხილი აუცილებლად იქნება მიწოდებული აშშ-ის შესაბამისი უწყებებისადმი; ამასთან, დასძინეს, რომ ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ „ქართულ-ამერიკული მეგობრობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის“.

შეხვედრის დასასრულს უწმინდესმა და უნეტარესმა კონგრესმენებს მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის, თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, დალოცა ისინი და ბრძანა: „ღმერთი იყოს მფარველი და მაკურთხებელი ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი მსოფლიოსი“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ვადამდელი არჩევნები ყველა ვარიანტში იქნება“

ანზორ ბიწაძე: „ოპოზიციური ერთობა დაანგრიეს ამ დოკუმენტზე პარტიზანულად და ფაქტიურად ჩუმად ხელმოწერით. ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა ტელევიზიიდან გავიგეთ, ხელს რომ აწერდნენ. სად არიან ახლა ეს პოლიტიკოსები?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.

– ანზორ, წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა და სიტუაციაც სულ უფრო იძაბება. გვესმის ურთიერთბრალდებები და ა.შ. საზოგადოების მხრიდან ხშირად ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე. არ არის დადებითის მოლოდინი, რომ საკმაოდ არათანმიმდევრულები არიან და მეორე მხრივ, „ოცნება“ სარგებლობს ამ ყველაფრით და შეთანხმებას შეთანხმებებზე არღვევს. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– მე გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ მესმის იმ ადამიანების, ვინც თვლის, რომ ოპოზიცია ვერ არის ისეთი ძლიერი წინასაარჩევნო პერიოდში, როგორიც უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი გამოიწვია იმან, რომ უპრეცედენტო ერთობა, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ ორი წლის წინ ოპოზიციაში, მოირღვა და ოპოზიცია დღეს აღარ არის ისე ერთიანი, როგორი ერთიანიც იყო, თუნდაც წინა პოლიტიკური პროცესების დროს. მაშინ, როდესაც არ არის საკმარისი ერთიანობა, კონსოლიდირება და საკმარისად ერთ მუშტად არ არიან შეკრული პოლიტიკური ძალები, რა თქმა უნდა, ნაკლები ენერგია და ნაკლები პოლიტიკური ძალა ჩანს წინასაარჩევნოდ.

– რით არის ეს განპირობებული?

– ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ვერ მოხერხდა ოპოზიციაში უფრო ღრმა და უფრო ფართო თანამშრომლობა. ამას შეუიარაღებელი თვალით შეამჩნევს ნებისმიერი მოქალაქე. თუ ვისი ან რისი ბრალია ეს, ჩვენმა მოქალაქეებმა ძალიან კარგად იციან. ეს არის ცალკეული პოლიტიკური მოთამაშეების ბრალი. თუმცა, მიუხედავად ამისა, რა მოცემულობაც გვაქვს, იმ მოცემულობაში, ყველამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ჩვენი პარტია მაქსიმალურად არის ჩართული იმ ბრძოლაში, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლოს 43%-ის აღება.

– დაარღვია ეს ხელშეკრულება „ქართულმა ოცნებამ“ და მოიხსნა 43%-ის ვალდებულება.

– ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ 43% ვერ აიღოს „ქართულმა ოცნებამ“ და შემდეგ უნდა მივმართოთ შარლ მიშელს და იმ ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს შარლ მიშელის დოკუმენტის შედგენას და შემდეგ მის ხელმოწერას. დოკუმენტის, რომელიც თავიდანვე არსობრივად არასწორი იყო და რომელმაც გამოიწვია ოპოზიციაში ერთიანობის ნგრევა. რადგან დღეს ასეთი მოცემულობა გვაქვს, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება იმ მხრივ, რომ „ოცნებამ“ ვერ აიღოს 43% და შემდეგ ძალიან ლეგიტიმური იქნება მთელი პოლიტიკური სპექტრის მხრიდან მოთხოვნა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისადმი, რომ მათ განახორციელონ ზეწოლა „ქართულ ოცნებაზე“ და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.

– ფიქრობთ, რომ არის შანსი ვადამდელის? იმის მიუხედავად, რომ ღარიბაშვილი კატეგორიული ტონით გვიცხადებს, უახლოეს სამ წელში არჩევნები არ იქნებაო?

– ვადამდელი არჩევნები, ჩემი პირადი სუბიექტური აზრით, ყველა ვარიანტში იქნება და მოგეხსენებათ, რომ ეს ღარიბაშვილის გადასაწყვეტი არ არის და, მით უმეტეს, არც კობახიძის. ეს ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი იქნება თუ კი მას საკუთარი ნებით მოუნდება არჩევნების დანიშვნა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიბრძოლოთ, რომ ამ არჩევნებზე, რაც შეიძლება მცირე შედეგი მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“. ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს წნეხის გაზრდა ხელისუფლებაზე საერთაშორისო პარტნიორებისგან. როგორც ჩამობრძანდა დანიელსონი და როგორც ჩამობრძანდა მიშელი რამდენჯერმე საქართველოში იმისათვის, რომ მიშელის დოკუმენტი შემდგარიყო, ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩამობრძანდნენ და ამ დოკუმენტის იმპლემენტაციაზე იზრუნონ და აუცილებლად უნდა აიძულონ „ქართული ოცნება“, რომ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ასევე, კეთილი ინებონ იმ პარტიებმა, რომლებიც გავარდნენ და ხელი მოაწერეს შარლ მიშელის დოკუმენტს და შემდეგ სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციაში საზეიმო ვახშმით აღნიშნეს ეს ყველაფერი, კეთილი ინებონ ამ პარტიებმა და პოლიტიკოსებმა და უფრო მეტი გააკეთონ და მეტი იბრძოლონ იმისათვის, რომ ამ დოკუმენტის იმპლემენტაცია მოხდეს.

– ნაციონალურმა მოძრაობამ ოთხი თვის თავზე მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ ხელი მოეწერა ამ დოკუმენტისთვის. თუმცა იქ ჩაწერილ ყველა პუნქტს არ დაეთანხმა და მონაწილეობა არ მიიღო ამნისტიის კანონის კენჭისყრაში, რომელიც „ოცნებამ“ მიიღო. ასე ნაწილობრივ დოკუმენტისთვის მხარდაჭერა რას ნიშნავს, ან რისთვისღა მოაწერეს ხელი?

– ზუსტად ვერ გეტყვით ამ ყველაფრის უკანრა იდგა. ერთი მხრივ, ეს ნაბიჯი შეიძლება გამართლებული იყოს იმით, რომ „ოცნება“ მუდმივად აპელირებდა, აი ნაციონალებმა ხელი არ მოაწერეს და ჩვენ იმიტომ გავედით ხელშეკრულებიდანო. ხომ მოაწერეს ნაციონალებმა ხელი, ამიტომ კობახიძეს ეს არგუმენტი აღარ გამოადგება. ჩემთვისაც ძალიან მიუღებელი იყო 20 ივნისთან დაკავშირებული ამნისტიის პროექტი. მე არ მესმის, რატომ უნდა გავუთანაბროთ მაკო გომური იმ ადამიანს, რომელმა ადამიანმაც მას თვალი დააკარგვინა. აქ არის ძალიან მარტივი სქემა, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია 20 ივნისის ამნისტიით ერთი კონკრეტული ადამიანი და ეს კონკრეტული ადამიანი გახლავთ ირაკლი კობახიძე, რომელსაც მაშინ გადადგომა მოუწია.

– მისი ინტერესი რაში მდგომარეობს?

– მისი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც თან ახლავს 20 ივნისს, მან ჩამოირეცხოს. იმიტომ, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა 20 ივნისთან დაკავშირებით მთლიანად არის კობახიძის კისერზე. გავრილოვი ჩამოყვანილი იყო კობახიძის მოწვევით. გავრილოვი იჯდა სწორედ იმ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, რომელი პარლამენტის თავმჯდომარეც იმ დროს იყო კობახიძე. ასე რომ, კობახიძე ზრუნავს თავის პოლიტიკურ მომავალზე და ასე ვთქვათ, განულება სურს პოლიტიკური პასუხისმგებლობის 20 ივნისთან დაკავშირებით.

– ცოტა არათანმიმდევრული ხომ არ არის, გამოდიხარ შეთანხმებიდან, მაგრამ ამ შეთანხმებაში ჩადებულ ერთ კომპონენტს მაინც კენჭს უყრი და ამტკიცებ?

– ზუსტადაც მაგას გეუბნებით, რომ რაც აწყობდათ, ის მიიღეს, მაგალითად, ამნისტიის საკითხი, რომელიც კობახიძეს და სხვა პირებს გაათავისუფლებს პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან, მეორე მხრივ, რისი მიღებაც არ აწყობდათ, ის ჩააგდეს. ვგულისხმობ პროკურორის არჩევის წესს და დათქმულ 43%-ს. მე ძალიან მაინტერესებს ერთი, სალომე ზურაბიშვილს რომ არალეგიტიმურ პრეზიდენტს ეძახდნენ და შემდეგ იმის რეზიდენციაში, ვახშმით და ზარზეიმით რომ აღნიშნეს სხვადასხვა პოლიტიკურმა ლიდერებმა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა, სად არის დღეს მათი აქტიურობა?! რატომ არ მიდიან ბრიუსელში, რატომ არ მიდიან ვაშინგტონში, ან არ ჩადიან შარლ მიშელთან და არ ესაუბრებიან იმაზე, რაც ხდება?! ოპოზიციური ერთობა დაანგრიეს ამ დოკუმენტზე პარტიზანულად და ფაქტიურად ჩუმად ხელმოწერით. ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა ფაქტიურად ტელევიზიიდან გავიგეთ, ხელს რომ აწერდნენ. სად არიან ახლა ეს პოლიტიკოსები?! ჩაბრძანდნენ მიშელთან, დაელაპარაკონ და უთხრან, რომ პროკურორის არჩევის წესიც კი ჩააგდო „ქართულმა ოცნებამ“. აი ასეთი არათანმიმდევრულობა რომ არის ოპოზიციაში და ასე რომ იქცევიან ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგები, გადაახიეს თავზე შარლ მიშელის დოკუმენტი და ესენი ვერაფერსაც ვერ შვრებიან, იმიტომაც არის განცდა ჩვენს თანამოქალაქეებში, რომ ოპოზიცია არათანმიმდევრულია, სუსტია და საკმარისად ძლიერი კამპანია არა აქვს.

„სააკაშვილის ჩამოსვლისა და მისი აქ დახვედრის საკითხებს რუსეთის სპეცსამსახურები წყვეტენ“

მამუკა გიორგაძე: „საარჩევნო სიებში ისევ ქაოსია. ვერაფრით მივაღწიე, რომ სამი უცხო ადამიანი არ იყოს საარჩევნოდ მიწერილი ჩემს ბინაზე“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

– ცოტა ხნის წინ თვალს ვადევნებდით „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ტრადიციულ შერკინებას, რასაც დაემატა პროცესში გახარიას ჩართვა. მას შემდეგ, რაც თავისი მორიგი ჩამოსვლა დააანონსა მესამე პრეზიდენტმა, ყურადღება სააკაშვილზე გადმოვიდა. თქვენ რას იტყვით?

– მიმდინარეობს ჩვეულებრივი, რუსეთიდან მართული პროცესი. ასე იყო მანამდეც და ასეა მას შემდეგაც, რაც სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოვა. მისი ე. წ ოპონენტები ხალხს უხსნიან, როგორ დახვდებიან სააკაშვილს. საქმე ისაა, რომ ეს თემები სხვაგან გვარდება. სააკაშვილის ჩამოსვლისა და დახვედრის საკითხებს რუსეთის სპეცსამსახურები წყვეტენ. სააკაშვილის ნაბიჯებიც რუსეთზეა დამოკიდებული და „ოცნების“ ნაბიჯებიც. რუსულ თამაშშია ჩართული გახარიაც. პირველად არ ხდება ის, რომ საქმის კეთების ნაცვლად ათასნაირი თემა შემოგვაქვს და ამის განხილვით ვართ დაკავებული. ლგბტ-საკითხებს, კოვიდპრობლემას დაემატა სააკაშვილის ჩამოსვლა-ჩამოუსვლელობა. ვხარჯავთ ამაზე ემოციებს, ენერგიას, ამასობაში ვერ შენდება სახელმწიფო, ვერ ყალიბდება ნამდვილი სახელმწიფო ინსტიტუტები, რუსეთიდან მართული პოლიტიკური სპექტრი კი უფრო დეგრადირდება. საზოგადოების ყურადღების გადატანა ხდება ნებისმიერ თემაზე, ოღონდ არ იყოს სახელმწიფოებრივი საკითხების განხილვა. ადამიანები დაიყვნენ ვაქცინაციის მომხრეებად და ანტივაქსერებად, მიდის კამათი სააკაშვილზე. ამ ყველაფერს იყენებს რუსეთი. ეს ქვეყანა აღწევს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს ნამდვილი ცივილიზებული სახელმწიფო, სადაც დაცულია ყველა ადამიანის უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

– უახლოეს მომავალში რას ელით? არსებობს ინფორმაცია, რომ მოსკოვი არჩევნების შემდეგ საქართველოში ახალ დესტაბილიზაციას გეგმავს.

– რუსეთი მაგას სულ ცდილობს. არა მგონია, რაღაც ახალი ჰქონდეთ ჩაფიქრებული. ამიტომ ვამბობ სინანულით, რომ ჩვენი საზოგადოების ენერგია იხარჯება ნეგატივსა და არა აღმშენებლობაზე, ამას, საბოლოოდ, მოაქვს ნიჰილიზმი და საზოგადოების მასად ქცევა. მასა ადვილი სამართავია.

– სააკაშვილის ჩამოსვლაზე წლებია გველაპარაკებიან. ახლა რაიმე ახალი მოხდება?

– ქართველი პოლიტიკოსები კანიდან ძვრებიან, რომ მთავარი როლები მიიღონ. ისინი რუსებს თავს აწონებენ. სააკაშვილი პირადადაც აქტიურობს, რომ ეპიცენტრში იყოს, მთავარ ფიგურად ჩანდეს. თუ რუსეთის სპეცსამსახურებს თავი მოაწონეს, მთავარი როლები პოლიტიკურ სპექტაკლში, ასევე ფინანსური უზრუნველყოფა და პიარი განაღდებული აქვთ. გვინახავს ქართულ პოლიტიკაში მეტეორივით შემოვარდნილი და მალევე პოლიტიკიდან მეტეორივით გავარდნილი პირები. მათ რუსეთის დავალებით იმ მომენტში თავისი როლი შეასრულეს და თავისი წვლილი შეიტანეს საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციაში. შესაძლოა, რუსებმა ახლაც მოძებნონ ახალი პერსონაჟი. ასეთი გმირები პიესების რომელიმე აქტში შემოჰყავთ. რუსეთს თავისი პოლიტიკა არ შეუცვლია. მხოლოდ ფორმები იცვლება. ჯერ მირონცხებული მეფე ატარებდა ამ პოლიტიკას, შემდეგ ბოლშევიკების ბელადები, ახლა – თანამედროვე დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე რუსეთის ფედერაცია აკეთებს იმავეს. ჩვენ იძულებული ვართ, ამაზე ვილაპარაკოთ იმ დროს, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოდის. პრობლემა ბევრია. შევეხები ამომრჩეველთა სიას. ამ სიაში ცდომილება დაახლოებით 800.000 კაცია.

– საქართველოდან გასული თანამემამულეებიც არიან სიაში.

– მარტო ეს არაა. არსებობს სხვა ხარვეზები. გამოგვიცხადეს, რომ ცესკოს სია სხვა იქნება, მაგიდებზე დასადები – სხვა. ეს სია არჩევნებამდე ორი დღით ადრე გამოჩნდება. ჩვენ გადამოწმებას ვერ ვასწრებთ. ჩემს მაგალითს გეტყვით. საარჩევნო სიებში ქაოსია. ვერაფრით მივაღწიე, რომ სამი უცხო ადამიანი არ იყოს საარჩევნოდ მიწერილი ჩემს ბინაზე.

– ამას ცდილობდით?

– რასაკვირველია. შედეგს ვერ მივაღწიე. სამი ადამიანი – გვარად ხუბულავები, მუდმივად მოწერილი გვყავს. ცესკოსთვის მიმართვა უშედეგოდ დამთავრდა. ადრე მათ გამო კომუნალურ გადასახადებსაც კი ვიხდიდით, შემდეგ ამისგან გაგვათავისუფლეს, მაგრამ საარჩევნოდ ისევ მოტმასნილი გვყავს ეს ხალხი. ამომრჩეველთა სიებში შევარდნაძის დროსაც გასასწორებელი იყო და სააკაშვილის დროსაც. 2012 წელს „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ სიებს მიხედავდა. ეს დაპირება არ შესრულდა. ჩვენ, სახალხო პარტია, მარტო სიების გასწორებას კი არა, სისტემის ძირფესვიანად გარდაქმნას მოვითხოვთ. ამისთვის ვიბრძვით. სხვები პერსონალიების შეცვლაზე ლაპარაკობენ.

– პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო შესწორებები კონსტიტუციაში, რომლითაც მომდევნო საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით და 2%-იანი ბარიერით გაიმართება. იმედი გაქვთ, რომ ამას ბოლომდე, სამივე მოსმენით დაამტკიცებენ.

– იმედი მაქვს, რომ ასე იქნება. წესით, უნდა მიიღონ. ამას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, მმართველ პარტიასაც აღარ უნდა მაჟორიტარებთან საქმის დაჭერა. ეს ძალიან ძვირი უჯდება. მაჟორიტარები, როგორც წესი, ატარებენ საკუთარ ინტერესებს და ხელისუფლება იძულებულია, მათ დაუთმოს. მეორეც, „ქართულ ოცნებას“ ჰყავს სატელიტი პარტიები, რომლებსაც ესაჭიროებათ გარანტიები. დაბალი საარჩევნო ზღურბლი არის ასეთი გარანტია. თუ „ქართული ოცნება“ გადაწყვეტს თავისი სატელიტების გადაგდებას, მაშინ, სიტუაცია სხვანაირად შეტრიალდება. მაშინ შუა განხილვის დროს გამოჩნდებიან „მეამბოხე“ დეპუტატები და ჩააგდებენ ამ პროექტს.

– ადრე თქვით, რომ ამ არჩევნების წინ ხალხს ნამდვილ თვითმმართველობაზე დაელაპარაკებით.

– სახალხო პარტია ამას ვაკეთებთ. ნამდვილი თვითმმართველობა არის ის, როცა ადგილებზე არის ქონება და ფული, როცა ადგილებზე მიიღება გადაწყვეტილებები, როცა თვითმმართველობა ეხმარება მოსახლეობას მიწის დაკანონებაში. თვითმმართველობის შედეგად გლეხებმა ბევრად უკეთ უნდა იგრძნონ თავი. სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო ფონდებიდან კიდევ უფრო მდიდრდებიან ოლიგარქები. ხალხთან მიგვაქვს ჩვენი გზავნილები სხვა საკითხებზეც. მაგალითად, ლუსტრაციის საჭიროებაზე, ერთიანი დამოუკიდებელი საგამოძიებო სტრუქტურის შექმნაზე, საზოგადოებისა და ეკლესიის ჯანსაღ თანამშრომლობაზე (როგორც ცივილიზებულ ქრისტიანულ ქვეყნებშია), ჩვენ აგრეთვე ვაყენებთ ხელისუფლებების შეფასების საკითხს.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ჩვენ ბოლშევიკური სისტემაც კი არ შეგვიფასებია. მარტო საბჭოთა სიმბოლიკა ავკრძალეთ. როცა შეფასდება კომუნისტური რეჟიმი, მერე გადავალთ სხვა ხელისუფლებებზე. მაშინ მივხვდებით, რომ შევარდნაძე, სააკაშვილი და ივანიშვილი კომუნისტურ გზას დაადგნენ. მათ დროსაც ერთი პარტიისა იყო ყველაფერი.

„ოცნება“ საკუთარ ამომრჩეველს აჭმევს, რომ სააკაშვილს დავიჭერთო

ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილი ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგას რას მისჩერებიან, ბიძინა ივანიშვილი რას დაჰპირდა ამ ხალხს, ის მოსთხოვონ ივანიშვილს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

ნონა ცაბაძე

– ლევან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გუშინ პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს. თუმცა პროკურორის არჩევის წესზე უარი თქვა. სერიოზულია დასავლეთის კრიტიკა, რას იტყვით თქვენ?

– ძალიან უცნაურია, შარლ მიშელის დოკუმენტიდან გავედითო ამბობენ და ამასობაში ამნისტია მიიღეს, რომელიც არავის არ უნდოდა, სრულიად არავის არ სჭირდებოდა, გარდა „ქართული ოცნებისა“. თუ შარლ მიშელის დოკუმენტიდან გავიდნენ და პროკურორის არჩევის წესს აღარ ამტკიცებენ, რაზეც სრულიად ევროპა და ამერიკა შეშფოთდა, მაშინ ამნისტია რატომ მიიღეს?! ანუ ის რაც აწყობთ, იმას აკეთებენ? ქოცური ლოგიკაა ეს. ამნისტიას სწორედ იმიტომ დაუჭირეს მხარი, რომ ის ჯალათები და კრიმინალები მათ სჭირდებათ. საკუთარი თავებისთვის სჭირდებათ ეს ამნისტია და არა პირობითად ვინმესთვის. ეს გაკეთდა ისევ „ქართული ოცნებისთვის“, იმ მაღალი თანამდებობის პირებისთვის, ვინც უკანონო ბრძანება გასცა, ვინც თვალები დასთხარა ადამიანებს, გადაამტა ძალას და ა.შ. პირობითად ვამბობ, თუ გავიდნენ შარლ მიშელის დოკუმენტიდან, მაშინ ამნისტია რატომ მიიღეს?! მარტო რასაც თვითონ უნდათ, იმას აკეთებენ. კიდევ ერთხელ გადააგდეს ჩვენი პარტნიორები. ვნახეთ უკვე საელჩოების მიერ გავრცელებული წერილები და ამას კარგი შედეგები არ მოყვება.

– „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებთ, მაგრამ ბრალს გდებენ, რომ თქვენც არათანმიმდევრულად იქცევით. ყველაზე გვიან, ოთხი თვის დაგვიანებით ხელი მოაწერეთ შარლ მიშელის დოკუმენტს, თუმცა მხარი ამნისტიის კანონს არ დაუჭირეთ. ანუ ამ შეთანხმებაში თქვენც რაც მოგწონთ, მხოლოდ იმას იზიარებთ?

– ასე არ არის, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შარლ მიშელის დოკუმენტისთვის ხელი მოგვეწერა, თუმც თავიდანვე გაცხადებული იყო ჩვენი პოზიცია, რომ ამნისტიის კანონს ნაციონალური მოძრაობა მხარს არ დაუჭერდა. ამნისტიას და ჯალათების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მხარს ნაციონალური მოძრაობა ვერ დაუჭერდა. პროპორციული არჩევნები რომ არ ჩაეგდოთ, მხოლოდ ამიტომ მივიღეთ მონაწილეობა. ძალიან მნიშვნელოვანი კენჭისყრა იყო, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და სწორედ ამიტომ მივიღეთ მონაწილეობა.

– მიხეილ სააკაშვილის მორიგ განცხადებას, რომ ის არჩევნების დღეს საქართველოში ჩამოვა, ბევრი პოლიტიკოსის მხრიდან ცინიკური გამოხმაურება მოჰყვა. გაჩნდა მოსაზრება, რომ მიშა „ოცნების“ თამაშს თამაშობს და ივანიშვილი მას ფულსაც კი უხდის ასეთი განცხადებების გაკეთებისთვის. ეს მორიგი დაპირებაა თუ მართლა აპირებს სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას?

– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის არჩევნების დღეს ჩამოვა, ამიტომ დაველოდოთ არჩევნებს. ეს სულელური განცხადებებიც კი, თურმე ხელისუფლების ამომრჩეველი აქტიურდება მიშას განცხადებების შემდეგ და მანამდე სძინავთ, უკვე სასაცილოც აღარ არის. ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მეტნი ვიყოთ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ძალიან ბევრია და მათ სწორედ სააკაშვილი აღვიძებს, ეს არის სრული სიგიჟე. დანარჩენ ოპოზიციას კი ვეტყოდი, რომ სააკაშვილზე მაგრები თუ არიან, უკვე მერამდე არჩევნები მოდის და იქნებ როგორმე 3%-ს აცდნენ. მე არ გამოვყოფ არც ერთ პარტიას, გამოვიჩენ პატივისცემას, მაგრამ, როცა ჩვენი მხრიდან არის პატივისცემა, ნება იბოძონ და ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის მიმართ თავადაც იყვნენ კონსტრუქციულები და, შესაბამისად, ადეკვატური განცხადებები აკეთონ. ის, რომ მიშა სააკაშვილი ფაქტიურად 8 წელია საარჩევნო კამპანიას სკაიპით აწარმოებს და სკაიპით რომ კაცი კამპანიას აწარმოებს და იღებს ათჯერ უფრო მეტს, ვიდრე სხვა დანარჩენი ოპოზიციური პარტია, მე მგონი, ეს ყველაფერზე მეტყველებს.

– ჩამოვა თუ არ ჩამოვა სააკაშვილი?

– რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლას თუ არ ჩამოსვლას, მან თავად გააკეთა ეს განცხადება, ის ამბობდა, რომ 2020 წელსაც, არჩევნების შემდეგ თუ „ქართული ოცნება“ დამარცხდებოდა, ის ჩამოვიდოდა. ამის შემდეგ კი ჩვენ ვნახეთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ნახა რა ნაცმოძრაობას მაღალი პროცენტი ჰქონდა, მან თქვა, რომ პირადად მე არ მინდა თანამდებობა, შექმენით კოალიციური მთავრობა და მიხედეთ ქვეყანას. თუმცა შეშინებულმა „ოცნებამ“ დაიწყო ოქმების გადაწერა და არჩევნები გააყალბა. სააკაშვილი ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგას რას მისჩერებიან, ბიძინა ივანიშვილი რა დაჰპირდა ამ ხალხს, მოდი აბა, ის მოსთხოვონ ბიძინა ივანიშვილს და ამაზე აგებინონ პასუხი. დევნილ სააკაშვილზე საუბარი, ჩამოვა თუ არ ჩამოვა, უკაცრავად, მაგრამ არ უშვებენ ამ ქვეყანაში! მიშამ თქვა, რომ მე მივიღე გადაწყვეტილება, ჩამოვიდე და ჩამოვა კიდეც. ამას არჩევნებამდე იზამს თუ არჩევნების შემდეგ, ამაზე იტყვის თვითონ.

– არ უშვებენო აცხადებთ, უბრალოდ, თუ ჩამოვა, ციხეში ჩაჯდომა მოუწევს. ჩაჯდება? არის ამაზე წამსვლელი?

– კარგით რა, რისი ჩაჯდომა მოუწევს?! ღარიბაშვილი უკრაინაში არ იყო? იმავე ქუჩის მეორე მხარეს იყო სააკაშვილი, თუ მაგარი ბიჭი იყო, წამოეყვანა იქიდან თუ დამნაშავეა! ეს ყველაფერი, უბრალოდ, სასაცილოც აღარ არის. ღარიბაშვილის, ივანიშვილის და წულუკიანის გარდა, მსოფლიოში არავინ არ ეძებს მიხეილ სააკაშვილს. ეს სრული სიგიჟეა. რას ჰქვია ჩაჯდომა მოუწევს?! მაშინ მძევლად აიყვანენ, თორემ ვინ აღიარებს, რომ ის დამნაშავეა? ამერიკაში დადის, სხვა დიდ ქვეყნებში და ვინ აღიარებს ამ გადაწყვეტილებას? არავინ, გარდა წულუკიანის და ღარიბაშვილისა. სხვა ქვეყანაში არავინ ამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აღიარებს. მეტსაც გეტყვით, ერთ ქუჩაზე იყვნენ სააკაშვილი და ღარიბაშვილი, უფრო მეტიც, სააკაშვილი უნდა ყოფილიყო შეხვედრაზე სამთავრობო ლოჟაში და ღარიბაშვილი გამოიქცა კიევიდან. აქ რომ საკუთარ ამომრჩეველს აჭმევენ, რომ სააკაშვილს დავიჭერთ და ასე ვიზამთ და ისე ვიზამთ, ეჭვი მეპარება საერთოდ მათ ნათქვამში. სააკაშვილი თავის გასაკეთებელს გააკეთებს და როცა დრო მოვა, ამაზე თავად ისაუბრებს. ჩვენ ერთი რამ არ დაგვავიწყდეს, უფრო მნიშვნელოვანი და სააკაშვილის ყურებაში არ მიგვავიწყდეს, რომ ჩვენ თავად უნდა გავინძრეთ და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ.

–გუშინდელ ინტერვიუში სააკაშვილმა ზედმეტად აქო გიორგი გახარიაო და მიდის დადანაშაულება და საუბრები მათ ალიანსზე. ამაზე რას იტყვით?

– სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერებს მათი მომხრეები სულელები და ბრიყვები ჰგონიათ. ვინმე დაიჯერებს, რომ სააკაშვილი და გახარია ერთია და ა.შ. მათი ძალოვანი მინისტრი და მათი სუპერ პრემიერ-მინისტრი, რკინის მინისტრი, როგორც თავად ეძახოდნენ, თურმე ნაციონალი ყოფილა? ეს, ცოტა არ იყოს და სასაცილოა. თუ ამდენი ხანია ისევ ნაციონალები მართავენ, მაშინ რა უნდათ ხელისუფლებაში, წავიდნენ, გადავიდნენ ოპოზიციაში და ჩვენ საქმეს მაინც გავაკეთებთ.

– ლევან, ვიცით, რომ „ოცნება“ გავიდა შარლ მიშელის შეთანხმებიდან, მას აღარ აქვს ვალდებულება 43%-თან დაკავშირებით, თუმცა თქვენ მაინც აცხადებთ, რომ ეს არჩევნები არის რეფერენდუმი და ვადამდელი არჩევნების ბედი გადაწყდება. გაქვთ ვადამდელი არჩევნების მოლოდინი?

– საქართველოში როდის იქნება არჩევნები, ამას არ წყვეტს ცალკე აღებული პოლიტიკური ფიგურა. არც ივანიშვილი, არც ღარიბაშვილი და არც კობახიძე. ამას წყვეტს ხალხი. ამიტომ, ეს არჩევნები ცალსახად არის რეფერენდუმი და არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. ამას აღიარებს მთელი ცივილური სამყარო, გარდა „ქართული ოცნებისა“. „ქართული ოცნება“ გავიდა შეთანხმებიდან, რას ჰქვია გავიდა?! მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს იმ ხელშეკრულებას და მათთვის ისევ ძალაშია. არარსებულ დოკუმენტზე ხელის მოსაწერად ნაციონალური მოძრაობის ლიდერს იქ არავინ არ მიიღებდა. თქვენ გგონიათ, რომ არარსებულ დოკუმენტზე ხელმოსაწერად ეპატიჟებოდნენ იქ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს?! ეს ხომ ასე არ არის? ასე წარმოუდგენია მარტო კობახიძეს. მათ საერთოდ უნდათ გააუქმონ ეს ქვეყანა და რუსეთის გუბერნიად აქციონ, მაგრამ ამის შესაძლებლობას ვერ მივცემთ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, არჩევნებზე ხალხის მოსვლა და იმის ჩვენება, რომ „ოცნებას“ არა აქვს მინიმალური მხარდაჭერაც კი.

შანაი ბრუკის მკვლელობისთვის რაფაელ მურსაკულოვი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში ავსტრალიის მოქალაქის, შანაი ბრუკის მკვლელობის ბრალდებით რაფაელ მურსაკულოვი დააკავა.

ამის შესახებ უწყებაში გუშინ, 8 სექტემბერს, საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2021 წლის 30 ივლისს თბილისში, მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი, ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედუარდსის განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაკავებულია თბილისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე.

ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, დროებით ცხოვრობდა თბილისში, გოგებაშვილის პირველ შესახვევში. მეგობრების განმარტებით, იგი ხშირად სეირნობდა მთაწმინდის პარკის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში. 30 ივლისს შანაი ბრუკი მეგობრებს უნდა შეხვედროდა, თუმცა არ მივიდა დათქმულ დროს და მას შემდეგ მასთან კომუნიკაცია შეწყდა. მოგვიანებით, შანაი ბრუკის მეგობრებმა აღნიშნულის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინეს. შეტყობინების მიღებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამძებრო ღონისძიებები დაიწყეს.

სამძებრო სამუშაოებში ჩართული იყო კრიმინალური პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის რამდენიმე ასეული თანამშრომელი. ასევე, ძებნის ოპერაციაში ჩართული იყო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახური. ინტენსიური სამძებრო სამუშაოების შედეგად, 31 ივლისს, დღის მეორე ნახევარში ნანახი იქნა ახალგაზრდა ქალის ცხედარი, რომელსაც აღენიშნებოდა ძალადობის კვალი. გამომძიებლის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო – კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტ-კრიმინალისტების მონაწილეობით მოხდა შემთხვევის ადგილისა და ცხედრის დათვალიერება, რა დროსაც ამოღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არაერთი ნივთი და ბიოლოგიური კვლები. ასევე, ამოღებულ იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, დაზიანებულ მდგომარეობაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, ცხედარი გადასვენებულ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში და ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა, ხოლო შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთებსა და კვლებზე ჩატარდა დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზები. გამოძიებამ ჩაატარა რამდენიმე ასეული საგამოძიებო მოქმედება. გამოიკითხა 200-ზე მეტი პირი, მათ შორის გარდაცვლილი ქალის მეგობრები, თანამშრომლები, მეზობლები, დანაშაულის დღეს მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე მყოფი და იქ დასაქმებული პირები. მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დამნაშავე პირის მიზნით, შეიქმნა ფოტორობოტი, რომელიც გაეგზავნა ყველა ოპერატიულ დანაყოფს. შესწავლილ იქნა შანაი ბრუკის გადაადგილების მარშრუტები და დათვალიერდა შემთხვევის დღეს შანაი ბრუკის გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები, ასევე, შემთხვევის ადგილის, მისი დროებითი საცხოვრებელი სახლისა და მთაწმინდის პარკის მიმდებარე ქუჩებზე განთავსებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის – „112“-ის და კერძო ობიექტების კუთვნილი რამდენიმე ათეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიება: კერძოდ, დისტანციურად გამოკითხულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი, შანაი ბრუკის მეგობარი, რომელთანაც შანაი ბრუკს გარდაცვალებამდე ჰქონდა კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით. ასევე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული, სავარაუდო დამნაშავის ბიოლოგიური კვლები, დნმ-ის ბაზებთან შედარების მიზნით, გადაგზავნილ იქნა ინტერპოლის წევრ 194 სახელმწიფოში. აღნიშნულ დანაშაულთან სავარაუდოდ შემხებლობაში მყოფი რამდენიმე ათეული პირისგან აღებულ იქნა ბიოლოგიური ნიმუშები, რომლებზეც დაინიშნა გენეტიკური ექსპერტიზები. მოხდა თითოეული მათგანის დეტალური გამოკითხვა, მათ მიერ გამოძიებისთვის მიცემული ინფორმაცია ალიბები, თუ სად იმყოფებოდნენ შანაი ბრუკეს გარდაცვალების დროს, გადამოწმდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებით.

რაფაელ მურსაკულოვი

კომპლექსური და მრავალმხრივი საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ზემოთ აღნიშნულ პირთა წრე, ხოლო, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, უტყუარად იდენტიფიცირების მიზნით, შეიქმნა ფოტორობოტი, რომელიც გაეგზავნა ყველა ოპერატიულ დანაყოფს. შესწავლილ იქნა შანაი ბრუკის გადაადგილების მარშრუტები და დათვალიერდა შემთხვევის დღეს შანაი ბრუკის გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები, ასევე, შემთხვევის ადგილის, მისი დროებითი საცხოვრებელი სახლისა და მთაწმინდის პარკის მიმდებარე ქუჩებზე განთავსებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის – „112“-ის და კერძო ობიექტების კუთვნილი რამდენიმე ათეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიება: კერძოდ, დისტანციურად გამოკითხულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი, შანაი ბრუკის მეგობარი, რომელთანაც შანაი ბრუკს გარდაცვალებამდე ჰქონდა კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით. ასევე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული, სავარაუდო დამნაშავის ბიოლოგიური კვლები, დნმ-ის ბაზებთან შედარების მიზნით, გადაგზავნილ იქნა ინტერპოლის წევრ 194 სახელმწიფოში. აღნიშნულ დანაშაულთან სავარაუდოდ შემხებლობაში მყოფი რამდენიმე ათეული პირისგან აღებულ იქნა ბიოლოგიური ნიმუშები, რომლებზეც დაინიშნა გენეტიკური ექსპერტიზები. მოხდა თითოეული მათგანის დეტალური გამოკითხვა, მათ მიერ გამოძიებისთვის მიცემული ინფორმაცია ალიბები, თუ სად იმყოფებოდნენ შანაი ბრუკეს გარდაცვალების დროს, გადამოწმდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებით.

კომპლექსური და მრავალმხრივი საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ზემოთ აღნიშნულ პირთა წრე, ხოლო, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, უტყუარად დადასტურდა ბრალდებულის ვინაობა. გამოძიების ფარგლებში შეკრებილი მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა 1988 წელს დაბადებული რ.მ.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – განაცხადა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ კახა მურადაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი 30 ივლისს გაუჩინარდა. ავსტრალიის მოქალაქის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში მისმა მეგობარმა გაავრცელა. მისი განცხადებით, როცა შანაი ბრუკს ტელეფონით ელაპარაკებოდა, ის მთაწმინდაზე იმყოფებოდა, რა დროსაც, სავარაუდოდ, თავს დაესხნენ. ახალგაზრდა ქალის ცხედარი მთაწმინდის ფერდზე 31 ივლისს იპოვეს.

* * *

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, რაფაელ მურსაკულოვი თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, შანაი ბრუკის მეზობლად ცხოვრობდა.

„პირველების“ მიერ მოპოვებული დოკუმენტებით ოფიციალურად დგინდება, რომ რაფაელ მურსაკულოვი „ქართული ოცნების“ წევრია.

უფრო კონკრეტულად, მურსაკულოვი მთაწმინის ოლქში, საარჩევნო კომისიაში დამკვირვებლად, 2021 წლის 23 აგვისტოს დანიშნეს – ანუ სასტიკი მკვლელობიდან რამდენიმე დღეში.

„ტვ პირველმა“ ასევე მოიპოვა ფოტომტკიცებულებაც, რომელიც საარჩევნო შტაბშია გადაღებული. მურსაკულოვი „ოცნების“ წევრთან პოზირებს.

მასვე ფეისბუქის პირად გვერდზე სამუშაო ადგილად „ქართული ოცნება“ აქვს მითითებული.

მკვლელობის სავარაუდო მოტივი კი ყაჩაღობაა – თავდამსხმელი შანაი ბრუკს აიფონ 12-ის წართმევას უპირებდა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია, რადგან გოგონამ ის ხრამში მოისროლა. მკვლელობაში ბრალდებულმა დანაშაულის ადგილზე დანით ხელი გაიჭრა და ადგილზე მისი სისხლის კვალი დარჩა. სწორედ გენეტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა დაკავებულის დნმ და მისი ვინაობა.

მკვლელობაში ბრალდებული პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა.

„ცოლის მკვლელობაში ბრალდებული ქმარი შეიძლება ციხიდან გამოუშვან“

12 ივნისს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში მამედოვების ოჯახში მომხდარი კონფლიქტი 40 წლის ქალის გარდაცვალებით დასრულდა.

სიკვდილის მიზეზი, სავარაუდოდ, მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა გახდა.

ბრალდებული მალევე დაიკავეს, თუმცა ახლა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ სიკვდილი გულის უკმარისობით დადგა. გარდაცვლილის ოჯახი ვარაუდობს, რომ სავარაუდო მკვლელს ხელისუფლება მფარველობს, რადგან ის „ოცნების“ ადგილობრივი აქტივისტი იყო.

„მთავარმა“ მოიპოვა საქმის მასალები, რომლებითაც ირკვევა, რომ გარდაცვლილზე ქმარი სისტემატურად ძალადობდა, მათ შორის, პატარა ბავშვების თვალწინ. ოჯახი ფიქრობს, რომ გაყალბებულია ექსპერტიზის დასკვნაც.

გარდაცვლილის მამა, ისა ისაევი, ამბობს, რომ მის შვილს ქმარმა სასტიკად სცემა და ისე მოკლა, ამას 13 წლის მოზარდი უყურებდა. მისივე თქმით, კონფლიქტი საყვარლის გამო დაიწყო, მკვლელობის დღეს ის ადასტურებდა, რომ გარდაცვლილს ხელი დაარტყა, ახლა კი ამას უარყოფენ.

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მკვლელობაში ბრალდებულ სიძეს საკნიდან არჩევნებამდე გამოუშვებენ, მისი ოჯახი „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია და ვიცით, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები მას მფარველობენ. ექსპერტიზის შედეგებიც გააყალბეს, ასევე, გააყალბეს საავადმყოფოს ჩანაწერი, სადაც ჩემი და პირველად შეიყვანეს.

ჩემი და რომ ძალადობის მსხვერპლია, ამას მისი შვილიც ადასტურებს, რომელიც მკვლელობას შეესწრო. შვილის თვალწინ გარდაცვლილს თავში ურტყამდნენ, – ამბობს გარდაცვლილის ძმა, სუფჰან ისაევი.

ოჯახი ითხოვს, რომ ყოფილი სიძე არ გაათავისუფლონ და სასჯელი არ შეუმსუბუქონ.

ზურაბ საჩიშვილის მკვლელობის საქმის სასამართლო დაიწყო

ბრალდებულია პოლიციის მაღალჩინოსანი ვანო ზანდარაშვილი

თელავის რაიონული საავადმყოფოს დირექტორის, ზურაბ საჩიშვილის მკვლელობის საქმეზე არსებითი განხილვა დაიწყო.

პროცესი ყოველდღიურად თელავის რაიონულ სასამართლოში გაიმართება და საქმეზე ნაფიც მსაჯულები იმსჯელებენ. მტკიცებულებების გამოკვლევამდე და მოწმეთა დაკითხვამდე კი ტექნიკური საკითხები განიხილეს.

ბრალდებული პოლიციელის, ვანო ზანდარაშვილის უფლებადამცველის თქმით, საქმის არსებითი განხილვისას გამოსაკითხია ათეულობით მოწმე როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხრიდან.

ოფიციალური ბრალის მიხედვით, გასული წლის 25 დეკემბერს, სოფელ იყალთოს ცენტრში, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, საავადმყოფოს დირექტორს შურისძიების მოტივით, სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა.

ზურაბ საჩიშვილი მიყენებული ჭრილობებით შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

მიკროავტობუსი ფორდს დაეჯახა და რუსთავის ბენზინის სადგურში შევარდა

გუშინ, 8 სექტემბერს, რუსთავის გასასვლელში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ერთმანეთს „ინტერტრანსის“ მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი ფორდი შეეჯახნენ, რის შემდეგაც მიკროავტობუსი ბენზინგასამართ სადგურზე შევარდა.

როგორც მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა „ინფო რუსთავს“ განუცხადა, ავარიის გამომწვევი მიზეზი მისი მხრიდან ავტოსაგზაო მოძრაობის წესის დარღვევა გახდა.

მიკროავტობუსი რუსთავი-რკინიგზის სადგურის მარშრუტით მოძრაობდა.

ავარიის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, 4-ვე მათგანი „ინტრტრანსის“ მიკროავტობუსით მგზავრობდა.

დაშავებულებს შორის არიან, დედა და მისი 13 წლის შვილი, ასევე 2 ახალგაზრდა ქალი, ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა რუსთავში გადაიყვანა.

როგორც კლინიკის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის დღის ექიმმა, თეონა ყვავაძემ „ინფო რუსთავს“ განუცხადა, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

– ჩვენს კლინიკაში 4 პაციენტიდან შემოყვანილი იქნა 4 პაციენტი. 3 მოზრდილთა, 1 კი ბავშვთა ემერჯენსში. 4-ვე პაციენტის ზოგადი მდგომარეობა ამ ეტაპისთვის სტაბილურია, უტარდებათ ინსტრუმენტალური კვლევები, იმყოფებიან დაკვირვების ქვეშ და ამ ეტაპისთვის რჩებიან კლინიკაში. არის ზედაპირული ტრავმები, – განაცხადა თეონა ყვავაძემ.

სიმთვრალეში მანქანის ტარება 1.500 ლარი დაგიჯდებათ

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოქალაქე 1.500, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში კი 2.000 ლარით დაჯარიმდება.

დანაშაულის განმეორება, კანონით 5-დან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობასა და მართვის მოწმობის უფლების ერთი წლით ჩამორთმევას ითვალისწინებს.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტს დეპუტატებმა ალეკო ელისაშვილმა და ლევან იოსელიანმა შესთავაზეს, რომელთა ინიციატივას მმართველმა გუნდმა მხარი დაუჭირა.

საია: „გენპროკურორის დანიშვნის ახალ წესზე უარი რეფორმის გაშვებული შესაძლებლობაა“

გენერალური პროკურორის დანიშვნის ახალ წესზე უარი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაშვებული შესაძლებლობაა.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ გენპროკურორის დანიშვნის ახალ წესზე უარის თქმა კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია.

„პარლამენტმა 126 ხმით, პირველი მოსმენით, მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტი. ცვლილებებს მიღმა დარჩა ჩანაწერი, რომელიც გენერალური პროკურორის კვალიფიციური უმრავლესობით – პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით არჩევას ითვალისწინებდა. გენერალური პროკურორის კვალიფიციური უმრავლესობით არჩევის იმ შეთანხმების ნაწილია, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მედიაციის შედეგად 19 აპრილს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმდა და რომელიც ცოტა ხნის წინ მმართველმა გუნდმა ცალმხრივად გამოაცხადა ანულირებულად.

საია მხარს უჭერდა გენერალური პროკურორის არჩევისთვის საჭირო მარტივი უმრავლესობის კვალიფიციურ უმრავლესობით შეცვლას. ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა შანსს, თანამდებობაზე დანიშნულიყო პირი, რომელიც ფართო პოლიტიკური კონსენსუსით, ისევე, როგორც მაღალი საზოგადოებრივი ნდობით ისარგებლებდა. ქვეყნის კონსტიტუციაში ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაზიარებაზე ორიენტირებული ახალი პროცედურა გაჩნდებოდა. სამწუხაროდ, მმართველმა გუნდმა უარი თქვა ამ ცვლილებაზე, რაც მართლმსაჯულების სისტემაზე პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნების სურვილით არის ნაკარნახევი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის კრიტიკის ფონზე წარმართვის შემდეგ, ეს კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია, რაც ჩვენს ქვეყანას აშორებს მართლმსაჯულების ძირეული რეფორმის მიზანს, ინარჩუნებს ნულოვანი ჯამის თამაშის წესებს და აღრმავებს პოლიტიკურ პოლარიზაციას“ – აღნიშნულია განცხადებაში.

თბილისის გეზში მეგობარ ოფიცრებმა კონტრაფაქციული საქონელი გამოავლინეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მეგობარ ოფიცრებმა, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურების განხორციელებისას, სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენების რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს.

შემოსავლების სამინისტროს ინფორმაციით, კონტრაფაქციული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 5643 ლარი შეადგინა.

უწყების ცნობით, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქონელი შეჩერებას და მფლობელების წერილობითი თანხმობის საფუძველზე განადგურებას დაექვემდებარა.

თალიბანმა ქალებს სპორტი აუკრძალა

დაჯგუფება თალიბანმა ავღანეთში ქალებს სპორტით დაკავება აუკრძალა. აღნიშნული ინფორმაცია დაჯგუფების კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აჰმადულაჰ ვასიქმა გაავრცელა.

– კრიკეტი და სხვა სპორტული თამაშები არ განიხილება, როგორც ქალებისთვის აუცილებელი რამ. სპორტის რიგ სახეობებში ქალებს საკუთარი სხეულისა და სახის დაფარვა არ შეეძლებათ. მედიის ერაში მათ ფოტოებსა და ვიდეოებს გადაუღებენ, რისი ნახვაც შემდეგ ხალხს შეეძლება. ისლამი კი ქალებს ამის უფლება არ აძლევს, – განაცხადა აჰმადულაჰ ვასიქმა.

ცოტა ხნის წინ მოძრაობა თალიბანის ლიდერმა ჰაიბათულა ახუნდზადამ განაცხადა, რომ ავღანეთში შარიათის კანონები ამოქმედდება.

– ჩვენ გვინდა ძლიერი და ჯანსაღი ურთიერთობა ჩვენ მეზობლებთან და სხვა ქვეყნებთან, რომელიც დაეფუძნება პატივისცემასა და ურთიერთთანამშრომლობას. ჩვენი ურთიერთობა ამ ქვეყნებთან იქნება დაფუძნებული ავღანეთის ინტერესებსა და მოგებაზე. ჩვენ ვემხრობით ყველა საერთაშორისო კანონსა და შეთანხმებას, რეზოლუციას და ვალდებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ისლამურ კანონებს და ეროვნულ ფასეულობებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრი დაიღუპა

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ხელმძღვანელი ევგენი ზინიჩევი წვრთნების დროს დაიღუპა.

„ვწუხვართ იმის გამო, რომ საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ხელმძღვანელი, ევგენი ზინიჩევი ტრაგიკულად დაიღუპა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისას, როდესაც ის ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას ნორილსკში, სადაც უწყებათაშორისო წვრთნებში მონაწილეობდა“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ევგენი ზინიჩევი საგანგებო სიტუაციების მინისტრად 2018 წლის მაისში დაინიშნა.

ჟაირ ბოლსონარუ: „ძალაუფლებისგან ჩემი ჩამოშორება მხოლოდ ღმერთს შეუძლია“

ბრაზილიის ულტრამემარჯვენე პრეზიდენტმა ჟაირ ბოლსონარუმ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს სიტყვით გამოსვლისას, სან პაულუს ცენტრში შეკრებილ ათიათასობით მომხრეს მიმართა და განაცხადა, რომ ძალაუფლებისგან მისი ჩამოშორება მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

ამასთანავე, ბოლსონარუმ აღნიშნა, რომ ის და მისი პოლიტიკური მოკავშირეები უზენაესი სასამართლოსა და სხვადასხვა ინსტიტუტისგან დევნის მსხვერპლნი არიან.

ცოტა ხნის წინ სასამართლომ ბოლსონარუსთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეზე გამოძიება დაიწყო. პრეზიდენტის რეიტინგი ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა. ატლას ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ბრაზილიელთა 61 პროცენტი მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს.

ეს მაჩვენებელი 2019 წელს, მისი მმართველობის დასაწყისში, მხოლოდ 23 პროცენტი იყო.

მექსიკაში მიწისძვრა მოხდა

მექსიკაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი მექსიკის სამხრეთ-დასავლეთში, აკაპულკოს სანაპიროსთან დაფიქსირდა.

რამდენიმე შტატში ელექტროენერგია გაითიშა.

მიწისძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე მეხიკოში განგაშის სიგნალი გაისმა.

გამოცხადდა ცუნამის საფრთხეც.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გოგონამ მკერდის დაპატარავების ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ მკერდი ისევ გაეზარდა

24 წლის ლოს-ანჯელესელმა მომღერალმა და მოცეკვავე ბეტანი ლაიონმა 10 ათასი დოლარი გადაიხადა მკერდის დაპატარავების ოპერაციაში და შედეგით უკმაყოფილო დარჩა.

2019 წელს ხუთი ზომა მკერდის მქონე ლაიონმა მისი ორი ზომით დაპატარავების ოპერაცია გაიკეთა. ქირურგიულ ჩარევამდე გოგონას ზურგის არეში ტკივილები ტანჯავდა, უჭირდა ტანსაცმლის შერჩევა და ცეკვის დროს დისკომფორტს განიცდიდა.

– ხალხი მუდმივად ჩემი მკერდის ზომაზე აკეთებდა კომენტარს. მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ის იყო, რასაც ჩემში ამჩნევდნენ. ჩემი მკერდი მეტად მძიმეა, ის ცეკვაში ხელს მიშლიდა და ვფიქრობდი, რომ სულელურად გამოვიყურებოდი, – განაცხადა გოგონამ.

თავიდან ლაიონი ოპერაციის შედეგით კმაყოფილი იყო, მაგრამ მალე შენიშნა, რომ მკერდმა ისევ ზრდა დაიწყო. მისი თქმით, მან იცოდა, რომ ასეთი რამ შესაძლოა ჰორმონალური აშლილობის შედეგად მომხდარიყო.

– ოპერაციიდან ორი წლის შემდეგ ვისწავლე ჩემ დიდ მკერდთან შეგუება, მაგრამ შესაძლოა მომავალში ოპერაცია განმეორებით გავიკეთო, – აღნიშნა ლაიონმა.

პატიმრებმა საკეტი ქაღალდის სამაგრით გახსნეს და საკნიდან გაიქცნენ

ტაილანდის პროვინცია ჩანტხაბურიში პატიმრებმა საკნის კარის საკეტი ქაღალდის საკანცელარიო სამაგრით გახსნეს და გაიქცნენ. პატიმრების გაქცევა დაახლოებით დილის ოთხ საათზე მოხდა. 35 წლის ნარინ რონაჩიტუს, რომელიც ორი მოტოციკლის, მობილური ტელეფონის და ბრილიანტისთვლებიანი სამაჯურის ქურდობაშია ეჭვმიტანილი, წუთზე ნაკლები დრო დაჭირდა საკნის კარის საკეტის გასახსნელად.

კარის გაღების შემდეგ ნარინმა თავისი თანამზრახველი ვიჩიტ ხინკაო გააღვიძა და ერთად დატოვეს საკანი. მათ ასევე ერთად მოახერხეს პოლიციის განყოფილების დატოვება, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. მოგვიანებით ხინკაო ისევ დააპატიმრეს, ხოლო რონაჩიტუმ, სავარაუდოდ, მეზობელ პროვინციას შეაფარა თავი.

სახლიდან გაქცეული სამი წლის ბიჭი ნაკადულთან იპოვეს

ავსტრალიაში სამი წლის ენტონი „ეი ჯეი“ ელფალაკი, რომელიც აუტიზმითაა დაავადებული, სახლიდან გაიქცა და ოთხი დღე ბუჩქნარს აფარებდა თავს.

ელფალაკი პარასკევს, 3 სექტემბერს გაუჩინარდა. მისი მშობლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბავშვი მოიტაცეს. ასზე მეტი პოლიციელი და მოხალისე ბავშვის ძებნით იყო დაკავებული. ორშაბათს, 6 სექტემბერს ელფალაკი სახლის შორიახლოს, დაახლოებით 500 მეტრში იპოვეს, ის შვეულმფრენიდან შენიშნეს. ბავშვი ნაკადულიდან სვამდა წყალს, რომელიც მისი ოჯახის ნაკვეთზე მიედინება. მას ტანსაცმელი ერთიანად სველი ჰქონდა. სხეულზე ჭიანჭველების ნაკბენები ეტყობოდა, ფეხებზე კი ნაკაწრები.

ელფალაკი ოჯახს დაუბრუნდა. მისი სახლიდან წასვლის მიზეზი უცნობია.

დედამთილი ქორწილში პატარძლის მოწამვლას შეეცადა

ქორწილების ორგანიზატორი ტიკტოკში მოყვა იმის შესახებ, თუ როგორ შეეცადა დედამთილი მისი ერთ-ერთი კლიენტის ნამცხვრით მოწამვლას.

ტიკტოკის მომხმარებელმა კელიმ განაცხადა, რომ ქორწილზე მუშაობდა, რომლისთვისაც მზადება ნორმალურად მიმდინარეობდა. ერთ მომენტში მისი ყურადღება მიიქცია იმან, რომ საკონდიტრო მაღაზიიდან დამატებით მოიტანეს ნამცხვრები, იმის მიუხედავად, რომ საქორწინო ტორტი უკვე ადგილზე იყო.

ეს შეკვეთა კელის სიაში არ ყოფილა, მაგრამ მას სიძის დედამ განუმარტა, რომ ეს მან შეუკვეთა დამატებით ნამცხვრები იმაში დასარწმუნებლად, რომ დესერტი ქორწილის ყველა სტუმარს შეხვდებოდა. მას შემდეგ კი, როდესაც სიძე-პატარძალმა საქორწინო ტორტი გაჭრეს, სიძის დედამ პატარძალს მისი შეკვეთით მოტანილი ერთ-ერთი ნამცხვრის გასინჯვა შესთავაზა. როდესაც პატარძალმა ნამცხვარი პირთან მიიტანა, მოულოდნელად ის სიძემ შეაჩერა. მან ნამცხვარი გამოართვა, იატაკზე დააგდო და დედას ყვირილი დაუწყო.

– საშინელი ადამიანი ხარ! ჩვენ ურთიერთობას არასოდეს უჭერდი მხარს, მაგრამ ახლა ყველაფერს გადააჭარბე. ის შესაძლოა საავადმყოფოში აღმოჩენილიყო, მას შესაძლოა ანაფილაქსიური შოკი დამართნოდა, – იძახდა სიძე. მან განმარტა, რომ მის საცოლეს ალერგია აქვს ქოქოსზე, ეს იცოდა დედამისმა, როდესაც ქოქოსის შიგთავსიანი ნამცხვარი შეუკვეთა.

კელის თქმით, პატარძალს მართლაც ძლიერი ალერგია ჰქონდა ქოქოსზე. ამ ინციდენტის შემდეგ პატარძალი შეშინებულად გამოიყურებოდა, ხოლო მისი დედამთილი სრულიად უდარდელად.

კამეჩების ჯოგმა თანამოძმე ლომების პრაიდისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მალა-მალას ნაკრძალში კამეჩების ჯოგი თანამოძმის განწირულ ძახილს გამოეხმაურა და ლომების პრაიდისგან დაიხსნა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო გიდმა იონტი ბოზასმა გადაიღო, რომელიც თან ახლდა ტურისტების ჯგუფს. მათ ლომები და კამეჩები ჯერ კიდევ საღამოდან შენიშნეს, მეორე დილით კი გადაწყვიტეს ადრე გასულიყვნენ საფარიზე. სწორედ იქ გადააწყდნენ ნადირობის სცენას. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ დაესხა თავს რამდენიმე ლომი მარტოდ დარჩენილ კამეჩს. ერთ-ერთი მტაცებელი კამეჩს ზურგზე შეახტა, დანარჩენებმა ალყაში მოიქციეს და ფეხებსა და გვერდებზე კბენა დაუწყეს.

მოულოდნელად კამეჩის დასახმარებლად მისმა თანამოძმემ მოირბინა, ლომები მიმოფანტა, ხოლო ერთ-ერთი მათგანი რქებით მაღლა აისროლა. მალე შემთხვევის ადგილზე სხვა კამეჩებმაც მოირბინეს. ლომებმა მსხვერპლს საბოლოოდ მიანებეს თავი და თავს გაქცევით უშველეს.

მამაკაცმა სამრეცხაოებიდან ქალის 700-ზე მეტი საცვალი მოიპარა

იაპონიის ქალაქ ბენუში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც ადგილობრივი სამრეცხაოებიდან 730 ქალის საცვლის მოპარვაშია ეჭვმიტანილი.

24 აგვისტოს 21 წლის სტუდენტმა გოგონამ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, პოლიციას მიმართა და აცნობა, რომ 56 წლის ტეტსო ურატუმ მას სამრეცხაოდან საცვლების ექვსი კომპლექტი მოპარა.

პოლიციის თანამშრომლებმა ურატუს მიაგნეს, მის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და 730 ცალი გადამალული ბიუსჰალტერი და ქალის ტრუსი იპოვეს. მამაკაცმა ადგილობრივი სამრეცხაოებიდან ქალის საცვლების ქურდობა აღიარა.

– დიდი ხანია ასეთი რაოდენობის ტრუსების კონფისკაცია არ განგვიხორციელებია, – განაცხადა ქალაქის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენელმა.

პოლიციამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო.

მეზობლებმა ქალი და მისი ძაღლი ალიგატორისგან ნიჩბით დაიხსნეს

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ჰილტონ-ჰედ-აილენდში მეზობლებმა ქალი, რომელსაც ძაღლით სეირნობის დროს ალიგატორი თავს დაესხა, გადაარჩინეს.

ორმეტრიანი ალიგატორი თავს დაესხა ქალს, რომელიც ძაღლთან ერთად სასეირნოდ იყო გამოსული და წყალსატევისკენ წაათრია. ეს ყოველივე მეზობელმა ქალმა შენიშნა და დასახმარებლად მივარდა. ის ქალის წყლიდან ამოთრევას შეეცადა, მაგრამ მიხვდა, რომ რეპტილიას ის მაგრად ყავდა დაჭერილი.

ამ დროს მეზობელი ქალის ქმარმა ნიჩაბი აიღო, წყალში შევარდა და რეპტილიას დაუშინა. მანამდე ურტყამდა, სანამ ალიგატორმა მსხვერპლს თავი არ დაანება. სამხრეთ კაროლინას შტატის ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტში ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ მეზობლებმა ქალი და მისი ძაღლი გადაარჩინეს.

დაშავებული ქალი ფეხზე მიყენებული სერიოზული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი ძაღლი კი არ დაშავებულა.

დეპარტამენტში აღნიშნეს, რომ ალიგატორი დააძინეს. ცხოველს გაკვეთენ იმის დასადგენად, ვინმე ხომ არ კვებავდა რეპტილიას.

ქალს მომგებიანი ლატარიის ბილეთი მოჰპარეს

იტალიის ქალაქ ნეაპოლში 70 წლის ქალს მოჰპარეს ლატარიის ბილეთი, რომელსაც მისი მფლობელისთვის 500 ათასი ევროს მოგება უნდა მოეტანა.

პენსიონერმა ქალმა ორი ბილეთი თამბაქოს ჯიხურში შეიძინა. მან იქვე გადაფხიკა დამცავი ფენა. პირველ ბილეთს მოგება არ მოუტანია, მეორე კი საპრიზო აღმოჩნდა, მაგრამ ის მას ჯიხურის მფლობელმა მოჰპარა, რომელსაც ქალმა მისი მოგების გადამოწმება სთხოვა.

ჯიხურის პატრონმა ბილეთს ხელი დასტაცა, გარეთ გამოვარდა, თავის მოტოციკლს მოახტა და გაურკვეველი მიმართულებით გაიქცა. შემთხვევის ადგილზე მისულმა კარაბინერებმა ლატარიის ბილეთების მთელი პარტია დალუქეს, რათა დამნაშავემ მოპარული ბილეთით მოგების მიღება ვერ მოახერხოს. მისი ნაცნობების თქმით, ის კარგი ადამიანია და მალე დააბრუნებს მოპარულ ბილეთს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კორონავირუსით განკურნებული ლევან მაისაშვილი საქართველოში დაბრუნდა

კორონავირუსისგან განკურნებული საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი სამშობლოში დაბრუნდა.

მაისაშვილს კორონავირუსი სამხრეთ აფრიკაში, 3 ივლისს გამართული ტესტ-მატჩის შემდეგ დაუდასტურეს. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ლევანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმე იყო და მკურნალობას იოჰანესბურგის ჰოსპიტალში გადიოდა.

სამხრეთაფრიკელ ექიმებთან ერთად მაისაშვილის ჯანმრთელობისთვის საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ექიმი ნუცა შამათავაც იბრძოდა. საბედნიეროდ „ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა კორონავირუსის დამარცხება მოახერხა, სრულად განიკურნა და უკვე სამშობლოშია.

დამაიმედებელი თამაში

რუმინეთი-საქართველო 1:1

ვოლუნტარი. ანგელ იორდანესკუ

1:0 ი. სტოიკა (17), 1:1 გულიაშვილი (72)

რუმინეთი: მ.პოპა, ტირლეა, სკრეციუ, რაკოვიცანი (დრაგუშინი 82), ტიკუ, ალბუ (პოპი 82), დიკანი (პერიანუ 82), მიკულესკუ (პიცუ 82), სეფერი (გეორგე 71), პეტრილა (პოპესკუ 71), ი.სტოიკა (დუმიტრუ 82)

საქართველო: მეგრელიშვილი, ც.კაპანაძე (ინჯგია 86), გელაშვილი, კალანდაძე, ხარაბაძე, ჯინჯოლავა, მექვაბიშვილი, შ.ნონიკაშვილი (ნ.გაგნიძე 84), გულიაშვილი (გოჩოლეიშვილი 79), მოისწრაფიშვილი (ლომთაძე 79), გაგუა

საქართველო და რუმინეთი 2023 წელს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს ერთად უმასპინძლებენ. აქედან გამომდინარე, ორივე ნაკრები შესარჩევ ციკლს გამოტოვებს და ავტომატურად ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

აქედან გამომდინარე, გუნდებმა გადაწყვიტეს ერთმანეთში ეთამაშათ. მატჩი რუმინეთის დედაქალაქთან ახლოს, პატარა ქალაქ ვოლუნტარიში ჩატარდა და 1:1 დასრულდა.

თავიდანვე ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა და ეროვნული გუნდის ცუდი მატჩების შემდეგ ცოტა გულზე მოგვეშვა.

თანამედროვე ფეხბურთში როგორც ხდება, გუნდი ისე სწრაფად გადადიოდა დაცვიდან შეტევაში და უკანაც ასევე სწრაფად ბრუნდებოდა. ფეხბურთელები ბევრს მოძრაობდნენ როგორც ბურთით, ასევე, უბურთოდ. ბევრს უტევდნენ, ბურთიც ეჭირათ და თამაშის მიმდინარეობის გაკონტროლებასაც ახერხებდნენ. ეს მაშინ, როდესაც გუნდმა სწრაფი გოლი გაუშვა და თითქოს, ქართულ ჩვეულ სტილში ბრძოლა უნდა შეეწყვიტათ.

როგორც გითხარით, მასპინძლებმა ანგარიში სწრაფადვე გახსნეს: იანის სტოიკამ გაგვიტანა და შესვენებაზე რუმინელები ამ უპირატესობით გავიდნენ – 1:0.

თუმცა, ჩვენებს პირველ ტაიმშივე ჰქონდათ უპირატესობა და შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ეს საქმე მე-2 ტაიმისთვის გადადეს.

რამდენიმე სწრაფი და აგრესიული შეტევის შემდეგ, გიორგი გულიაშვილმა კონტრშეტევა წამოიწყო, საჯარიმოში შეიჭრა და ზუსტად დაარტყა შორეულ, დაბალ კუთხეში – 1:1.

საქართველოს ნაკრებს უპირატესობა არც ამის შემდეგ დაუთმია და მოგებაც შეეძლო. მარტო ხარაბაძეს ორჯერ ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ორჯერვე რუმინელთა მეკარემ აჯობა. საბოლოოდ, ფრე – 1:1.

რამაზ სვანაძე:

– საკმაოდ კარგი თამაში გამოვიდა, საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგესთან. ჩემი აზრით, ვფლობდით უპირატესობას და შეგვეძლო ეს შეხვედრა გამარჯვებით დაგვესრულებინა.

მთავარი ამ ეტაპზე, შედეგთან ერთად, არის სელექცია. რუმინელებთან რამდენიმე დებიუტანტი გვყავდა. საერთოდ, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა და ასე გაგრძელდება მომავალშიც. ჩვენი ამოცანა უცვლელი რჩება – 2023 წელს საქართველოში ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატს მომზადებული შევხვდეთ.

ეროვნული ლიგა 12 სექტემბრიდან განახლდება

ეროვნული ლიგის 2021 წლის სეზონი 23-ე ტურიდან 12 სექტემბერს განახლდება. 23-ე ტურის ერთი შეხვედრა სამტრედია-ლოკომოტივი (1:0), ჩემპიონატის შეჩერებამდე 13 აგვისტოს გაიმართა.

ეროვნული ლიგა 2 კი, 10 სექტემბერს 23 ტურით განახლდება. 14 სექტემბერს დაგეგმილია ლიგა 3-ის ლიგა 4-ისა და რეგიონული ლიგის მატჩები.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 12 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მიიღო.

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საბჭოს გადაწყვეტილებით, დასაშვებია მაყურებლის გარეშე სპორტული ღონისძიებების ჩატარება. აღნიშნულ ღონისძიებებზე მონაწილეები დაიშვებიან სრულად ვაქცინირებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ ან ღონისძიებამდე 72 საათით ადრე პისიარ-ტესტის, ან 24 საათით ადრე სწრაფი ანტიგენის ტესტის, უარყოფითი პასუხის საფუძველზე.

ჟოან ლაპორტა: „გრიზმანი ადრეც რომ წასულიყო, მესის მაინც ვერ შევინარჩუნებდით“



ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ესპანურ მედიასთან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა.

– რა მოხდა ლეო მესისთან დაკავშირებით?

– ლა ლიგამ ჩვენზე ზეწოლა მოახდინა, რომ ცვც-სთან კონტრაქტს დავთანხმებოდით. ლეოსთან შეთანხმება დიდი ხნის მიღწეული გვქონდა, მაგრამ ლა ლიგამ ეს არ მიიღო. პრეზიდენტად მოსვლას არ ვნანობ, ერთი წამითაც კი. ახლა ისეთი მოტივირებული ვარ, როგორც არასდროს. ლეოსთან მისი წასვლის შემდეგ აღარ მისაუბრია. არგენტინელის მადლიერები მუდამ ვიქნებით.

– შესაძლებელია თუ არა მესის დაბრუნება მომავალში?

– ეს ის დასასრული ნამდვილად არ იყო, რაც ლეოსთვის გვსურდა. ვნახოთ... ბარსაში რამდენიმე გმირი გვყავს: ბუსკეტსი, ალბა, პიკე, სერჟი რობერტო... მათი თავდადება საოცარია. ემოციურია, როდესაც ხედავ, რომ სხვა ფეხბურთელების გამო ხელფასს იმცირებენ. ანტუან გრიზმანი გუნდიდან ადრეც რომ წასულიყო, ლეო მესის მაინც ვერ დავარეგისტრირებდით.

– რატომ ვერ ითამაშა ანტუან გრიზმანმა ბარსელონაში?

– ვფიქრობ, რომ მისგან ყველა მეტს მოელოდა. ის ჩვენს ფორმაციაში არ ჯდებოდა და არც ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, ჩვენ რომ გვსურს.

– ლუკ დე იონგის შეძენა გუნდს გააძლიერებს?

– მისი ხასიათის ადამიანის გუნდში ყოფნა საკმაოდ წაგვადგება.

– საუბარია, რომ გუნდს ანსუ ფატის გაყიდვა სურს.

– არ დაიჯეროთ – მედია ჭორებს ავრცელებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

7 სექტემბერი

ფეხბურთი

მრ-2022. შესარჩევი ეტაპი

ევროპა

აზერბაიჯანი-პორტუგალია	0:3
ავსტრია-შოტლანდია	0:1
ბოსნია-ყაზახეთი	2:2
დანია-ისრაელი	5:0
ირლანდია-სერბეთი	1:1
ნიდერლანდები-თურქეთი	6:1
ნორვეგია-გიბრალტარი	5:1
რუსეთი-მალტა	2:0
სლოვაკეთი-კვიპროსი	2:0
ფარერები-მოლდოვა	2:1
საფრანგეთი-ფინეთი	2:0
ხორვატია-სლოვენია	3:0
ჩერნოგორია-ლატვია	0:0

აზია

ს.კორეა-ლიბანი	1:0
ვიეტნამი-ავტრალია	0:1
ჩინეთი-იაპონია	0:1
ომანი-ს.არაბეთი	0:1
სირია-ემირატები	1:1
ერაყი-ირანი	0:3

აფრიკა

ზამბია-ტუნისი	0:2
მალავი-მოზამბიკი	1:0
ტანზანია-მადაგასკარი	3:2
ეთიოპია-ზიმბაბვე	1:0
კაბო ვერდე-ნიგერი	1:2
კონგო-სენეგალი	1:3
ე.გვინეა-მავრიტანია	1:0
ანგოლა-ლიბია	0:1
ბურკინა ფასო-ალჟირი	1:1
სუდანი-გვინეა ბისაუ	2:4

ევრ-2023. შესარჩევი ეტაპი (21)

ყაზახეთი-დანია	0:1
ლუქსემბურგი-ირლანდია	1:1
ჩრ.მაკედონია-სერბეთი	0:0
ბოსნია-შვედეთი	1:1
ფინეთი-ხორვატია	0:2
ბულგარეთი-უელსი	0:4
იტალია-ჩერნოგორია	1:0
ლიტვა-ესპანეთი	0:2
ავსტრია-აზერბაიჯანი	6:0
გიბრალტარი-შვეიცარია	0:4
კვიპროსი-ლიხტენშტეინი	6:0
რუსეთი-მალტა	6:0
უკრაინა-სომხეთი	2:1
ესტონეთი-ნორვეგია	0:5
ლატვია-გერმანია	1:3
თურქეთი-შოტლანდია	1:1
ნიდერლანდები-მოლდოვა	3:0
ისლანდია-საბერძნეთი	1:1
ინგლისი-კოსოვო	2:0
პოლონეთი-ისრაელი	1:2
სან მარინო-უნგრეთი	0:4
ჩრ.ირლანდია-სლოვაკეთი	1:0

ამხანაგური მატჩი (21)

რუმინეთი-საქართველო	1:1

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

კაცები

ზანდჰულპი-მედვედევი	3:6;0:6,6:4,5:7

ქალები

კრეიჩიკოვა-სობოლენკო	1:6,4:6
სვიტოლინა-ფერნანდესი	3:6,6:3,6:7

ჯალეიდოსკოპი

მეთევზემ 150 უიშვიათესი „ოქროსგულიანი“ თევზი დაიჭირა და გამდიდრდა

მეთევზემ ინდოეთის მახარაშტრის შტატიდან 157 უიშვიათესი „ოქროსგულიანი“ თევზი დაიჭირა და გამდიდრდა.

ჩანდრაკანტ ტეირი ზღვაში სხვა მეთევზეებთან ერთად გავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეთევზეებმა შავლაქებიანი გრიბლის გუნდი შენიშნეს, რომელიც ასევე „ოქროსგულიანი“ თევზის სახელითაცაა ცნობილი.

ინდოელის ბადეში 157 თევზი გაება. მოგვიანებით მან ნადავლი უტარ-პრადეშისა და ბიხარის შტატების თევზით მოვაჭრეებს მიჰყიდა. დაჭერილ თევზში მეთევზეს 13,3 მილიონ რუპიაზე მეტი გადაუხადეს.

უზარმაზარი პითონისა და ჰიენის ორთაბრძოლაში გველებზე მონადირე ჩაერია

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ხალხმა გადაარჩინა ჰიენა, რომელსაც თავს უზარმაზარი პითონი დაესხა.

ორი მტაცებლის ორთაბრძოლის თვითმხილველი ადგილობრივი გლეხი სიტარამ ჩაუდხური გახდა, რომელიც თავის ყანაში მოსავლის ასაღებად მიდიოდა. მან ნანახის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა სატყეო მეურნეობას, რომელმაც, თავის მხრივ, ადგილზე პროფესიონალი გველებზე მონადირე გააგზავნა.

როდესაც მონადირე ადგილზე მივიდა, პითონი უკვე ჰიენაზე იყო შემოხვეული და მის გაგუდვას ცდილობდა. მრავალრიცხოვანი სეირის მოყვარულების თვალწინ გველებზე მონადირე ცხოველების დაპირისპირებაში ჩაერია, ქვეწარმავალი შიშველი ხელებით ასწია და ჰიენა მისი მარწუხებისგან გაათავისუფლა. ჰიენაც და პითონიც გამოკვლევაზე ქალაქ საგარში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 2. ყურძნის შაქარი; 3. ნაქსოვი ფეხსამოსი; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 5. ტბა აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ძაღლის პირსაკრავი; 15. მრავალხმიანობა მუსიკაში; 16. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკაში; 17. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 20. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი.

თარაზულად: 6. განდიდების მანია; 7. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 8. უდაბნო ჩილეში; 9. აეროპორტი ქაიროში; 13. პატარა რესტორანი; 14. სვან მამაკაცთა ცეკვა; 18. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 22. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 23. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპიის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ზული; 2. ალუვი; 3. ამური; 5. ანდები; 6. კიმიგაიო; 9. ჰელიოგრაფი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. სია; 16. გვრინი; 18. ხადა.

თარაზულად: 1. ზადარი; 4. აკაპულკო; 7. სუდოკუ; 8. რუმპელი; 12. ალუჩა; 13. ლესოტო; 15. ნადალი; 17. ბრა; 19. კულტივატორი; 20. სიდრი; 21. ჩაროზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ავტობუსი; 2. ფოლორცი; 3. სვანი; 4. ბარცინო; 5. ლაკმუსი; 10. რედერერი; 11. სოციოლოგია; 12. ასანიძე; 15. ტერმინალი; 16. ენესკუ; 17. შეპარდი; 20. მაცნე.

თარაზულად: 6. ღვინობისთვე; 7. ფარვანა; 8. ეპილოგი; 9. ჟუდეცი; 13. ბიზე; 14. ლოპესი; 18. ინტერნეტი; 19. ხეპრე; 21. სააბი; 22. ჯუნგლი; 23. სინდიკატი; 24. კლიასერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1143

ევრო — 3.6805

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2859

100 რუსული რუბლი — 4.2457

ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისათვის

რონალდ კუმანი: „მინდა, ბარსელონასთან კონტრაქტი გავახანგრძლივო“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას სურს ბარსელონასთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს და ამისთვის ის მზად არის ხელფასის შემცირებაზეც დათანხმდეს.

კუმანის აზრით, ბარსელონას წელს ტიტულების მოგების კარგი შანსი ექნება:

– მინდა, რომ ბარსელონაში მუშაობის შანსი დიდი ხნის მანძილზე მქონდეს და ამისთვის ძალებს არ დავიშურებ. წლევანდელი სეზონი მნიშვნელოვანია და ტიტულების გარეშე არ უნდა დავრჩეთ.

ბენზემა: „ლიონის სტადიონზე თამაში სასიამოვნო იყო“

საფრანგეთის ნაკრებმა საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთი შეხვედრა ლიონის სტადიონზე გამართა და კარიმ ბენზემამ ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო. მატჩის შემდეგ მან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ლიონში დაბრუნება და ფანებთან შეხვედრა მისთვის ძალიან სასიამოვნო იყო:

– ლიონი ჩემთვის განსაკუთრებული ადგილია და იქ დაბრუნება ყოველთვის განსაკუთრებულია, რადგან ფანებისგან სიყვარულს კვლავინდებურად ვგრძნობ.

ბეილი: „რონალდუმ ფეხბურთში ყველაფერს მიაღწია“

გარეტ ბეილმა თავის ყოფილ თანაგუნდელზე კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ რონალდუმ ფეხბურთში ყველაფერს მიაღწია და მას დასამტკიცებელი უკვე არაფერი აქვს, თუმცა ის არ ფიქრობს, რომ რონალდუ კარიერას დაასრულებს:

– დარწმუნებული ვარ, რომ რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედში კარგად ითამაშებს და მას ისევ შეუძლია მაღალ დონეზე ასპარეზობა, მიუხედავად იმისა, რომ რონალდუმ უკვე ყველაფერს მიაღწია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 სექტემბრისათვის

ვერძი – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **გაუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

მამაკაცი ქალს ეუბნება:
– საყვარელო, შეწყვიტე ტირილი. რა მოხდა?
– ჩემი მშობლები ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგები არიან.
– სულ ეგ არის? სულელო, რა განერვიულებს, სხვა საცოლეს ვიპოვი.

•••

მუშაობის დაწყების მსურველს საწარმოს ხელმძღვანელი ეკითხება:
– რატომ წამოხვედით თქვენი ადრინდელი სამუშაო ადგილიდან?
– და რატომ წავიდა სამსახურიდან თქვენი ადრინდელი თანამშრომელი?

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:
– რაღაც მოწყენილობაა...
– თუ გინდათ, დავლევ...

•••

მოსწავლე მასწავლებელს ეკითხება:
– მასწავლებელო, წყნარი ოკეანე ყოველთვის წყნარი იყო?
– გიგი, მაგაზე უფრო სულელური შეკითხვის დასმა შეგიძლია?
– შემიძლია! როდის მოკვდა მკვდარი ზღვა?

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რატომ ხარ ასეთ ცუდ ხასიათზე?
– რატომ და ერთმა შობელ-ძაღლმა კბილიც დამაკარგვინა და ფულიც!
– ყაჩაღმა?
– არა, კბილის ექიმმა!

•••

მამაკაცი ქალს ეკითხება:
– ერთი ნახვით სიყვარულის გჯერა?
– იცი რა, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ცოტა მხედველობა მღალატობს და ამიტომ შეხებას ვამჯობინებ...

•••

პროგრამისტის ცოლი სახლში ბრუნდება, ხედავს, ქმარი უხასიათოდაა და ეკითხება:
– რა მოხდა?
– დედა აღარაა... დაიცა, რა გახარებს, დედაჩემი კი არა კომპიუტერის...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– სულელი ხარ!
– სამაგიეროდ, ლამაზი.
– ვინ გითხრა?
– შენ...
– და შენც დაიჯერე?
– რა თქმა უნდა!
– ჰოდა, სულელი ხარ!
– სამაგიეროდ, ლამაზი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვანიკო თარხნიშვილი ახალ გადაცემას წაიყვანს

მსახიობი ვანიკო თარხნიშვილი ახალ გადაცემას წაიყვანს. ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში სულ მალე დაიწყება გადაცემა „ხალხთან თამაში“.

გადაცემას „მთავარი ბიჭების“, „ვანოს შოუს“ და „ახალი შაბათის შოუს“ შემოქმედებითი ჯგუფი ამზადებს.

გასართობ გადაცემაში მთავარი მოთამაშე ხალხია. მათ უნდა დაუსვან რთული შეკითხვები მოთამაშეს, რომ ჩაჭრან და ფული მოიგონ.

სოფო ტოროშელიძე: „გადარჩენისთვის გვიწევს ბრძოლა“

მომღერალი სოფო ტოროშელიძე აცხადებს, რომ მას და მის კოლეგებს ყოველდღიურად გადარჩენისთვის უწევთ ბრძოლა:

– ძალიან ხშირად გვეკითხებიან ხოლმე ხელოვან ადამიანებს – ახალს არაფერს არ აკეთებ? ვეცდები ყველას მაგივრად გაგცეთ პასუხი: ჩვენ გადარჩენისთვის გვიწევს ბრძოლა ყოველდღიურად, ასეთ დროს ხელოვნება კვდება და იყინება შიგნიდან ყველაფერი. ამ არჩევანს შორის გადარჩენას ვამჯობინებთ ხოლმე, ამიტომ ჩვენ არაფერს კი არ ვაკეთებთ, უბრალოდ ვცხოვრობთ და გვიწევს, ის ვაკეთოთ, რაც გადაგვარჩენს. ამიტომ ნუ დაგვისვამთ ამ კითხვას.

რობერტ ბარძიმაშვილის ძეგლი ვერის ბაღში დაიდგმება



მომღერალ რობერტ ბარძიმაშვილის ძეგლი ვერის ბაღში დაიდგმება. ამ იდეის ინიციატორი მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილია. მან იმ ადგილის ფოტო გაავრცელა ინტერნეტში, სადაც უფროსი კოლეგის ძეგლის დადგმა სურს, რომ შემდეგ ეს ადგილი ხელოვანების თავშეყრის ადგილას აქციოს:

– რობერტ ბარძიმაშვილის ძეგლი დაიდგას და გამოვასწოროთ ის უსამართლობა, რაც მის წინაშე ჩაიდინეს ზოგიერთმა ადამიანებმა! ბიუსტი ვერის პარკში დაიდგას და იყოს ფესტივალების და საერთოდ მუსიკოსების ადგილი!

ის იყო პირველი კლიპის გამკეთებელი პოსტსაბჭოთა სივრცეში, XX საუკუნეში უდიდესი მუსიკოსი... ანსამბლ „ორერას“ შემქმნელი, რომელმაც მსოფლიოს 5 კონტინენტი მოიარა უდიდესი კონცერტებით... ანსამბლი 75... ბავშვთა უძლიერესი ანსამბლი „ლახტი“ და ანსამბლი ჯორჯია....

რობერტ ბარძიმაშვილმა აღმოაჩინა ჩვენი დროის უდიდესი მუსიკოსები, მადლიერმა შთამომავლობამ უნდა დააფასოს მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე! ყველას მოვუწოდებ, დამეხმაროს ამ საქმეში, რადგან ჩემი პიროვნება არ ეპიტნავება დღევანდელ მთავრობას და მერიას. სულ სხვამ აიღოს თავის თავზე და გააკეთოს ეს მამულიშვილური საქმე! რობერტი იყო დიდი ილიასავით მუსიკოსებში, მე მგონი, ყველა დამეთანხმება, ოპოზიციაც და პოზიციაც.

თბილისში ზურა დოიჯაშვილის ქუჩა გაიხსნა

ქუჩას, სადაც მომღერალი ზურა დოიჯაშვილი დაიბადა და გაიზარდა, მისი სახელი მიენიჭა. გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ მიიღო.

ინფორმაცია „ქუჩის ბიჭების“ წევრმა, მომღერალმა ზურა ხაჩიძემ გაავრცელა:

– გილოცავ, ჩემო ზურა და ყველას ვულოცავ, ვისაც ჩვენი ზურა დოიჯაშვილი უყვარს!

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზურა დოიჯაშვილის სახელი მიენიჭება ქუჩას, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა!

მადლობა საკრებულოს ყველა წევრს, ვინც დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას!

გოჩა კაპანაძე ოზურგეთის თეატრში მიიწვიეს

რეჟისორი გოჩა კაპანაძე ოზურგეთის თეატრში მიიწვიეს, სადაც სპექტაკლი „გურიის დედოფალი“ დადგა.

დახურულ ჩვენებას პანდემიის გამო მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაესწრო. დოკუმენტური დრამის ავტორი თამარ პაპავაა. სპექტაკლში გამოყენებულია ქველი ჩხატარაიშვილის ნაშრომი გურიის სამთავროს შესახებ.

გოჩა კაპანაძე სპექტაკლის რეჟისორიცაა, ინსცენირების ავტორიც და მუსიკალური გამფორმებელიც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 2. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 3. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 5. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 9. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 16. მოხეტიალე ცირკი; 18. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი.

თარაზულად: 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 4. ფრანგული სამხედრო-ვერტმფრენმზიდი გემების სერია; 7. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 8. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 12. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 13. მცდარი მხედველობის აღქმა; 15. ბრგე, ღონიერი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი; 17. ბაშკირეთის დედაქალაქი; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 21. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა